სს „ნენსკრა ჰიდრო“

2022 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ნენსკრა ჰიდროს“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ნენსკრა ჰიდროს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე ვამახვილებთ, რომელშიც მითითებულია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ ვერ შეძლო „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ და „საინჟინრო მომსახურება/შესყიდვა/მშენებლობის ("EPC") ხელშეკრულების“ განახლება და ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის აუცილებელი დაფინანსების მოპოვება. აღნიშნული მოვლენები და გარემოებები, მე-2 შენიშვნაში აღწერილ სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

სხვა საკითხი

წინამდებარე ფინანსურ ანგრიშგებაში აშშ დოლარში წარმოდგენილი ოდენობები, რომლებიც მხოლოდ მომხმარებლების მოხერხებულობისთვის არის წარმოდგენილი (დანართში აღწერილის შესაბამისად), არ წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნაწილს და არ არის აუდიტირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
26 ოქტომბერი 2023 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	45	339,935
აქტივები გამოყენების უფლებით		-	1,202
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	7	-	1,620
არამატერიალური აქტივები		-	219
წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი	8	-	34,240
შეზღუდული ფულადი სახსრები		20	41
გრძელვადიანი აქტივები		**65**	**377,257**
მარაგები		206	97
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა	12	5,424	5,573
სხვა მოთხოვნები	9	2,117	2,117
გადახდილი ავანსები		1,444	152
გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები	11	44,958	45,042
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	4,411	10,045
მოკლევადიანი აქტივები		**58,560**	**63,026**
სულ აქტივები		**58,625**	**440,283**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	549,315	536,920
წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი	13	4,404	-
დაგროვილი ზარალები	13	(498,422)	(99,099)
სულ კაპიტალი		**55,297**	**437,821**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		553	840
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**553**	**840**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		213	428
სხვა ვალდებულებები		2,562	1,194
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,775**	**1,622**
სულ ვალდებულებები		**3,328**	**2,462**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**58,625**	**440,283**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 -47 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნები	2022	2021
პერსონალის ხარჯები	5	(3,205)	(2,265)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(11,531)	(10,943)
გაუფასურების ზარალი სხვა მოთხოვნებზე	9	-	(2,117)
გაუფასურების ზარალი ძირითადი საშუალებებზე	7	(344,200)	-
გაუფასურების ზარალი გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებზე	7	(1,590)	-
გაუფასურების ზარალი წინასწარ გადახდილ ფინანსურ ხარჯებზე	8	(37,715)	-
გაუფასურების ზარალი არამატერიალურ აქტივებზე		(204)	-
გაუფასურების ზარალი გამოყენების უფლებით აქტივებზე		(806)	-
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**(399,251)**	**(15,325)**
წმინდა ფინანსური შემოსავალი		65	10
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		(137)	(132)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(399,323)**	**(15,447)**
მოგების გადასახადი		-	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(399,323)**	**(15,447)**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 26 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

Kyoungun Bae
აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

Yoonho Shin
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 -47 გვერდებზე.

’000 ლარი	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს		494,350	22,145	(83,652)	432,843
წლის ზარალი		-	-	(15,447)	(15,447)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		**-**		**(15,447)**	**(15,447)**
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან					
წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი	13	22,145	(22,145)	-	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	13	20,425	-	-	20,425
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		**536,920**	**-**	(99,099)	**437,821**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს		536,920	-	(99,099)	437,821
წლის ზარალი		-	-	(399,323)	(399,323)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		**-**	**-**	**(399,323)**	**(399,323)**
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან					
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	13	12,395	-	-	12,395
წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი		-	4,404	-	4,404
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		**549,315**	**4,404**	(498,422)	**55,297**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10-47 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მომწოდებლებისა და დასაქმებულებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(15,054)	(10,025)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(15,054)	(10,025)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,588)	(4,298)
ფინანსური ხარჯებისთვის გადახდილი ავანსები		(3,383)	(813)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,971)**	(5,111)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსულობები	13	12,395	20,425
სააქციო კაპიტალის წინასწარი გადახდებიდან მიღებული შემოსულობები		4,404	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**16,799**	**20,425**
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**(5,226)**	**5,289**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		10,045	4,791
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(408)	(35)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	10	**4,411**	**10,045**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10-47 გვერდებზე.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშვალდებული საწარმო	11
2.	აღრიცხვის საფუძველი	13
3.	სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	16
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	17
5.	პერსონალის ხარჯები	18
6.	სხვა საოპერაციო ხარჯები	18
7.	ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	19
8.	წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი	22
9.	სხვა მოთხოვნები	22
10.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23
11.	გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები	23
12.	წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა	23
13.	კაპიტალი და რეზერვები	23
14.	კაპიტალის მართვა	24
15.	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	24
16.	ვალდებულებები	30
17.	პირობითი ვალდებულებები	30
18.	დაკავშირებული მხარეები	34
19.	შეფასების საფუძველი	34
20.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	35
26.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	47
27.	საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	47

1. ანგარიშვალდებული საწარმო

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ და ომმა უკრაინაში 2022 წელს კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთნიშნა ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „ნენსკრა ჰიდრო“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405112220. კომპანია დაარსდა 2015 წლის 5 აგვისტოს პროექტის განხორციელების მიზნით, რომელიც მოიცავს სვანეთში, (საქართველო), მდინარე ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტირებას, განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობას, ფლობას და ტექნიკურ მხარდაჭერას (შემდგომში „პროექტი“). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი ჭავჭავაძის გამზირი № 34. 2021 წელს, კომპანიას საშუალოდ 18 დასაქმებული ჰყავდა (2020: 42 დასაქმებული).

კომპანიის უმრავლესობის აქციების (92.6%) მფლობელია „კორეის წყლის რესურსების კორპორაცია“ (შემდგომში “K-water”) რომელიც დაარსდა და ოპერირებს კორეის რესპუბლიკაში. K-water დაარსებულია და საბოლოოდ მას აკონტროლებს კორეის რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც აქვს უფლებამოსილება საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის მართოს K-water-ის ოპერაციები. კომპანიის უმცირესობის აქციების (7.4%) მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“ (შემდგომში „ფონდი“), საქართველოში დაარსებული და მოქმედი სახელმწიფო კომპანია. ფონდი კომპანიის აქციონერი 2018 წელს გახდა.

კომპანიის აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული კომპანიის წესდება შემუშავებულია აქციონერთა ხელშეკრულების (ქვემოთ განსაზღვრული) შესაბამისად. წესდების თანახმად, კომპანიის მმართველი ორგანოებია აღმასრულებელი კომიტეტი, სამეთვალყურეო საბჭო და აქციონერთა საერთო კრება. წესდების თანახმად, აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არიან: აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი, ტექნიკური დირექტორი და ოპერაციული დირექტორი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო შედგება 6 წევრისაგან, საიდანაც ოთხი წევრი წარდგენილია K-water-ის მიერ, ხოლო ორი წევრი ფონდის მიერ.

კომპანიის დაფინანსების უმეტესი ნაწილი K-water-სგან არის მიღებული. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია K-water-ზე. ამასთანავე, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული K-water-ის მოთხოვნებთან. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად განხილულია მე-18 შენიშვნაში.

კომპანია ახორციელებს პროექტს 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული შემდეგი ხელშეკრულებების ფარგლებში (2017 წლის შესწორებული ვერსიის გამოყენებით):

i. კომპანიის, საქართველოს მთავრობის, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის („ესკო“), სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის („სსე“) და ფონდის მიერ და მათ შორის დადებული იმპლემენტაციის ხელშეკრულება („იმპლემენტაციის ხელშეკრულება“). „იმპლემენტაციის ხელშეკრულება“ არეგულირებს და მართავს პროექტის კომერციული, ფინანსური, იურიდიული და საგადასახადო საკითხების (და არა მხოლოდ) ყველა ძირითად ასპექტს; და კომპანიის აქციონერის მიერ აქციების საქართველოს მთავრობისთვის გადაცემას „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ვადის ამოწურვის თარიღისთვის, რაც არის სამშენებლო პერიოდს დამატებული საოპერაციო პერიოდის 36 წელი.

ii. კომპანიას და ესკოს (შემსყიდველი, როგორც ეს განმარტებულია „იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში“) მიერ და მათ შორის დადებული „სიმძლავრის შეძენის ხელშეკრულება“ (“PPA”) არეგულირებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს შემსყიდველსა და კომპანიას შორის და არეგულირებს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანობის დაწყების შემდეგ, „ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის“ (შემდგომში „ჰესი“) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდებასთან.

iii. PPA საკრედიტო მხარდაჭერის ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიისა და ფონდის მიერ და მათ შორის, და არეგულირებს ურთიერთობებს მხარეთა შორის, ფონდის მიერ, „სიმძლავრის შეძენის ხელშეკრულების“ ფარგლებში, შემსყიდველის გადახდის ვალდებულებების გარანტირებასთან დაკავშირებით.

iv. ფუთ და ქოლ ოფციონის ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიის, საქართველოს მთავრობის, K-water-ის და ფონდის მიერ და მათ შორის და არეგულირებს მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ნაადრევი შეწყვეტის და/ან ვადის გასვლის შემთხვევაში; და

v. აქციონერთა ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიის, K-water-ის და ფონდის მიერ და მათ შორის („აქციონერთა ხელშეკრულება“) და არეგულირებს კომპანიის აქციონერთა სტრუქტურასთან და ფონდის მიერ კომპანიის აქციების პოტენციურ გამოწერასთან დაკავშირებულ საკითხებს, კომპანიის კაპიტალში დაახლოებით 16,740 აშშ დოლარის (ან ეკვივალენტური ოდენობა ლარში) ოდენობით ნატურალური ფორმით განხორციელებული შენატანის და დაახლოებით 6,260 ათასი აშშ დოლარის (ან ეკვივალენტური ოდენობა ლარში) ოდენობით ფულადი სახსრების შენატანის საშუალებით.

მოსალოდნელია, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულება და შესაბამისი ზემოაღნიშნული საპროექტო ხელშეკრულებები დაკორექტირდება საოპერაციო პერიოდის 46 წლამდე გაზრდის ცვლილებების და ზოგიერთი სხვა პირობების შეტანით, სავარაუდოდ არაუგვიანეს 2024 წლისა (იხ. შენიშვნა 2 (b)).

2018 წლის სექტემბერში, მესამე მხარის კონტრაქტორთან - „Salini Impregilo S.p.A“-თან (შემდგომში „სალინი“, ან „კონტრაქტორი“) 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული საინჟინრო/შესყიდვების/მშენებლობის ხელშეკრულება („EPC“) ჰიდროელექტროსადგურის პროექტირებასთან, შესყიდვასთან, მშენებლობასთან, ტესტირებასთან, ექსპლუატაციაში გაშვებასთან და დასრულებასთან დაკავშირებით, იქნა შეწყვეტილი მხარეების მიერ დადებული „შეწყვეტის შესახებ აქტის“ მიხედვით. „შეწყვეტის შესახებ აქტის“ მიხედვით, მხარეები ერთობლივად შეთანხმდნენ EPC ხელშეკრულების შეწყვეტასა და შეწყვეტის ვადებსა და პირობებზე, რაც სხვა პირობებთან ერთად, შემდეგ ძირითად პირობებს მოიცავდა: (i) კომპანიამ იკისრა 27,488 ათასი აშშ დოლარის ოდენობით შეწყვეტის ხარჯების გადახდა, საიდანაც 19,188 ათასი აშშ დოლარი გადახდილი იქნა ფულადი სახსრებით, ხოლო დანარჩენი იქნა ურთიერთგადაფარული კომპანიის მიერ EPC ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ წინასწარ გადახდასთან; (ii) კონტრაქტორის მიერ EPC ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დადებული ქვეკონტრაქტების განახლება; (iii) კონტრაქტორის მიერ, EPC ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მიზნებისთვის შესყიდული გარკვეული აქტივების გადაცემა კომპანიისთვის. მსგავსი აქტივები აუცილებელია პროექტის სამშენებლო სამუშაოებისთვის, და მაშასადამე, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ახალ EPC კონტრაქტორზე გადაცემას/გაყიდვას ექვემდებარება.

EPC ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი პროექტისთვის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, რომელიც მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზეა (იხ. შენიშვნა 2(b)). მეორე კორექტირებული და განახლებული იმპლემენტაციის ხელშეკრულების დასრულება 2024 წელს იგეგმება, შერჩეულ პრეტენდენტთან („შერჩეული პრეტენდენტი“) ახალი EPC ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად.

ამავდროულად, პროექტის დროულად განხორციელებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შემდგომი გადადების თავიდან ასაცილებლად, კომპანიამ გააფორმა ქვეკონტრაქტები შპს „კავკასენერგოსთან“ და შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ ერთიანი ხელშეკრულების ფასებით 8,761 ათასი აშშ დოლარი და 37,288 ათასი აშშ დოლარი, შესაბამისად. შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ გაფორმებული ქვეკონტრაქტები მოგვიანებით შეწყდა, 2020 წელს და 2021 წლის დასაწყისში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ ვერ შეიყვანა პროექტი ექსპლუატაციაში, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით.

ხელმძღვანელობა პროექტის დაწყებას 2020 წელს ელოდებოდა. თუმცა, 2018 წელს EPC ხელშეკრულების შეწყვეტისა და 2020 წელს COVID-19 პანდემიის გამო, პროექტის დასრულება 2025 წლისთვის გადაიდო და მოსალოდნელია, რომ კვლავ 2028 წლისთვის გადაიდება.

EPC ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. ახალი EPC კონტრაქტორის შერჩევის სატენდერო პროცესი 2018 წლის ნოემბერში დაიწყო, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების (პოტენციური კრედიტორები, „კრედიტორთა ჯგუფი“) საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ახალი EPC ხელშეკრულების დასრულებასა და აღსრულებას 2020 წლის განმავლობაში მოელოდა, რაც შემდგომ 2022 წლამდე გადაიდო, თუმცა მოლაპარაკებები შერჩეულ პრეტენდენტთან და კრედიტორთა ჯგუფთან, შეწყდა, შემდეგი მიზეზების გამო:

COVID-19-ის პანდემიამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. აღნიშნულმა, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიაზე, ახალი EPC ხელშეკრულების აღსრულების გადადების კუთხით და ასევე, ფინანსური დახურვის გადადება გამოიწვია. დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან ახალი EPC ხელშეკრულების აღსრულებასა და იმპლემენტაციის ხელშეკრულების კორექტირებაზე არის დამოკიდებული.

2023 წლის განმავლობაში, EPC ხელშეკრულების აღსრულების გადადებისა და ეკონომიკურ გარემოში ცვლილებების გამო, შერჩეულმა პრეტენდენტმა EPC ხელშეკრულების თავდაპირველად განსაზღვრული ფასის გაზრდა მოითხოვა.

ამასთანავე, EPC ხელშეკრულების შესასრულებლად, კომპანიას და საქართველოს მთავრობას იმპლემენტაციის ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინათ. 2019 წლის 28 იანვარს, კომპანიამ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, მხარეებმა დაადასტურეს, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულების ვადები და სხვა ძირითადი პირობები შეიძლება იქნეს გადახედილი და კორექტირებული განახლებული პროექტის ვადების მიხედვით, მათ შორის პროექტის მშენებლობის ახალი გრაფიკი, ახალი EPC ხელშეკრულების მიხედვით. თუმცა, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ დაკორექტირებულა.

იმის გათვალისწინებით, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ შესრულებულა, საქართველოს მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკებები კომპანიასთან ადრე შეთანხმებული ელექტროენერგიის ტარიფის/ტარიფის დაახლოებით 13%-ით შემცირებასთან დაკავშირებით. 2022 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა კომპანიას თავდაპირველად შეთანხმებული ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება. ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებამ არსებითი უარყოფითი გავლენა იქონია პროექტის მომგებიანობაზე და ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი გაუფასურების ინდიკატორს წარმოადგენდა. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, კომპანიამ აღიარა სრული გაუფასურება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში - პროექტთან დაკავშირებული გრძელვადიანი აქტივები, იხ. ასევე შენიშვნა 7.

„ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ (“GCC”) მიმდინარე სასამართლო დავამ ასევე ხელი შეუწყო ზემოაღნიშნულ შეფერხებებს. როგორც 17 (b) შენიშვნაშია განხილული, 2021 წლის 23 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ („სასამართლო“) გამოსცა ახალი შემზღუდავი ბრძანება („ბრძანება“), როგორც დროებითი ღონისძიება კომპანიის წინააღმდეგ. ბრძანების მიხედვით, კომპანიას ჩამოერთვა მის საკუთრებაში არსებული „გვირაბის საბურღი მანქანები“ („TBM“) და სასამართლომ დააწესა შეზღუდვები მათ გამოყენებაზე. გვირაბის საბურღი მანქანები პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენს. გარდა ამისა, ბრძანება უზღუდავს კომპანიას ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმებას ნებისმიერ მესამე მხარესთან, რომელიც სერპანტინის გზის სამშენებლო სამუშაოებს ეხება.

ხელმძღვანელობამ შეაფასა ზემოაღნიშნული მოვლენები და გარემოებები და დაასკვნა, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენონ კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აღნიშნული დასკვნის გამოტანა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან განსჯასა და დაშვებებს მოიცავდა: (ა) შერჩეულ პრეტენდენტთან EPC ხელშეკრულების გაფორმება და შესრულება; (ბ) ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან მიმდინარე დავის და გვირაბის საბურღი მანქანების ჩამორთმევის გათვალისწინებით, კომპანიის უნარი განაგრძოს სამშენებლო სამუშაოები მისი მოძრავი ქონების გამოყენებით; (გ) საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული იმპლემენტაციის ხელშეკრულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს ვადებს, ელექტროენერგიის ტარიფს და სხვა ძირითად ასპექტებს; და (დ) კომპანიის უნარი განაგრძოს პროექტის მომავალი დაფინანსების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ხელმძღვანელობამ შეაფასა ზემოაღნიშნულ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების ხარისხი და საქართველოს მთავრობის, კომპანიის და მშობელი კომპანიის (“K-water”) მიერ მიღებული შემამსუბუქებელი ზომების გავლენის გათვალისწინებით (ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად) ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანია შეძლებს EPC ხელშეკრულების გაფორმებას შერჩეულ პრეტენდენტთან, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებას და მას ექნება წვდომა სათანადო ფინანსურ და სხვა რესურსებზე რათა გააგრძელოს მუშაობა, სულ მცირე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში:

- 2021 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს მთავრობამ COVID-19 პანდემიის გამო დაწესებული ძირითადი შეზღუდვები მოხსნა. შედეგად, ხელმძღვანელობამ განაახლა აქტიური მოლაპარაკებები შერჩეულ პრეტენდენტთან. ეკონომიკური მიზეზების გამო, შერჩეულმა პრეტენდენტმა EPC ხელშეკრულების ფასის გაზრდა მოითხოვა. გაზრდილი ფასი არ იყო მისაღები კომპანიისთვის, შესაბამისად კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. ახალი EPC კონტრაქტორის შერჩევის სატენდერო პროცესი 2023 წლის განმავლობაში დაიწყო, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების (პოტენციური კრედიტორები, „კრედიტორთა ჯგუფი“) საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. ტენდერის შედეგად, კომპანიამ შეარჩია ახალი „შერჩეული პრეტენდენტი“. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ შესაბამისი ახალი EPC ხელშეკრულება შესრულდებოდა და ძირითადი სამშენებლო სამუშაოები 2024 წლის განმავლობაში დაიწყებოდა. ამავდროულად, კომპანია აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს თავის კრედიტორთა ჯგუფთან, ანუ საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან, დაფინანსების პირობებზე. იმის გათვალისწინებით, რომ დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან შერჩეულ პრეტენდენტთან EPC ხელშეკრულების შესრულებაზე არის დამოკიდებული, ფინანსური დახურვა ასევე მოსალოდნელია ახალი EPC ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

- როგორც შენიშვნა 17(ხ)-ში არის წარმოდგენილი, 2022 წლის 24 ოქტომბერს, კომპანიამ საჩივარი შეიტანა საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟში, რომლითაც ითხოვს დადგინდეს, რომ ქართულმა სამშენებლო კონსორციუმმა დაარღვია შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმებები საქართველოში სასამართლო წარმოების დაწყებით. 2023 წლის 8 სექტემბერს, არბიტრაჟმა („ტრიბუნალმა“) გამოსცა საბოლოო გადაწყვეტილება არბიტრაჟთან დაკავშირებით კომპანიის სასარგებლოდ. ტრიბუნალმა დაადასტურა, რომ კომპანიამ კანონიერად შეწყვიტა ხელშეკრულებები ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან და რომ ქართულმა სამშენებლო კონსორციუმმა დაარღვია საარბიტრაჟო შეთანხმება საქართველოს სასამართლოებში გარკვეული საჩივრების შეტანით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ აკრძალვის ბრძანება მოიხსნება და კომპანიას არ შეექმნება დაბრკოლებები მისი ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში, ანუ ჰესის მშენებლობაში.

- 2019 წლის 28 იანვარს, კომპანიამ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, მხარეებმა დაადასტურეს, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულების ვადები და სხვა ძირითადი პირობები შეიძლება იქნეს გადახედილი და კორექტირებული განახლებული პროექტის ვადების მიხედვით, მათ შორის პროექტის მშენებლობის ახალი გრაფიკი, ახალი EPC ხელშეკრულების მიხედვით. ამასთანავე, 2022 წლის ბოლოს წარმოებული მოლაპარაკებების საფუძველზე, 2023 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად გამოთქვა მზადყოფნა გააფორმოს დამატებითი ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები ძირითად კომერციულ პირობებზე შეთანხმდებიან. შედეგად, 2023 წლის 15 მაისს, კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ გააფორმეს დამატებითი ხელშეკრულება, იმპლემენტაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. დამატებითი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ ელექტროენერგიის ახალ ტარიფზე და უმოკლეს ვადებში, გადახედილი და განახლებული იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყებაზე. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ დაკორექტირებულა. თუმცა, კომპანია საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებების საბოლოო ეტაპზეა ძირითადი პირობების განახლებასთან დაკავშირებით, მათ შორის პროექტის ვადების განახლება (ფინანსური დახურვის და FNTP-ს ვადების გახანგრძლივება, განახლებული მშენებლობის გრაფიკის ჩათლით). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთავრობა დათანხმდება კომპანიის მიერ შეთავაზებულ ვადების გახანგრძლივებას და შეასრულებს გადახედილ და განახლებულ იმპლემენტაციის ხელშეკრულებას.

- კომპანიის უმრავლესობის აქციონერმა, K-water-მა დაადასტურა მისი განზრახვა, განაგრძოს კომპანიისთვის ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერის გაწევა, როგორც ეს აუცილებელია, რათა კომპანიამ შეასრულოს პროექტი და ჰქონდეს საშუალება მოახდინოს მისი აქტივების რეალიზაცია და შეასრულოს მისი ვალდებულებები, საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პირობებში.

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. თუმცა, გამოვლენილი მოვლენები და გარემოებები მიანიშნებენ, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის მიხედვით და შესაბამისად, განაგრძოს თავისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების შესრულება ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არანაირ კორექტირებას, რომელიც „მომზადების საფუძვლის“ შეუსაბამობით იქნებოდა გამოწვეული.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 2(b) - ფუნქციონირებადი საწარმო: არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ; და
- შენიშვნა 4 (a) - წინასაწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, მოცემულია შენიშვნებში:

- შენიშვნა 7 (c) - ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურებაზე ტესტირება; და
- შენიშვნა 17 (b) - პირობითი ვალდებულებები.

(a) წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები

ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ პირდაპირ მიკუთვნებადი და დამატებითი საფასური, რომელიც გადახდილია იურიდიული და ფინანსური მრჩეველებისთვის საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან თანხების მოზიდვაში დახმარების გაწევისთვის, პირდაპირ არის დაკავშირებული და იზრდება დაფინანსების მოპოვებასთან ერთად და კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯების სახით. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის მიმდინარე განზრახვები, ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან რეგულარული კომუნიკაციების შედეგები და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, მიიჩნია, რომ აქტიური მოლაპარაკებები ძირითად საერთაშორისო დაწესებულებებთან იქნებოდა წარმატებული და კომპანია 34,240 ათასი ლარის ოდენობით წინასაწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სრულად ანაზღაურებას შეძლებდა.

თუმცა, 2022 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობამ გაუფასურების ინდიკატორები გამოავლინა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, კომპანიამ აღიარა სრული გაუფასურება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში (იხ. ასევე შენიშვნა 7). შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ აღიარა 37,715 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი წინასწარ გადახდილ ფინანსურ ხარჯზე.

(b) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებების შეფასებასთან დაკავშირებით, კომპანია მშობელი კომპანიის მიერ დადგენილ კონტროლის სტრუქტურას იყენებს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 15 - ფინანსური ინსტრუმენტები, სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები.

5. პერსონალის ხარჯები

'000 ლარი	2022	2021
ხელფასები და გასამრჯელოები	3,170	2,240
სხვა პერსონალის ხარჯები	35	25
პერსონალის ხარჯები	**3,205**	**2,265**

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2022	2021
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	5,446	5,358
პროფესიული მომსახურება	2,994	2,991
ცვეთა და ამორტიზაცია	1,209	602
გასაყიდად ფლობილი აქტივების შენახვის და დაზღვევის ხარჯები	1,186	1,376
ავტომობილის მომსახურების ხარჯი	291	105
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები	160	71
გარემოსდაცვითი და სოციალური ხარჯები	19	114
საიჯარო ხარჯები	17	85
სხვა	209	241
სხვა საოპერაციო ხარჯები	**11,531**	**10,943**

7. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

	მიწები	დაუმთავრებელი მშენებლობა (CIP) *	სამშენებლო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ბანაკები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ	გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები
თვითღირებულება								
ნაშთი								
2021 წლის 1 იანვარს	4,561	325,299	532	533	7,266	1,655	339,846	3,438
შესყიდვები	5	5,062	-	27	7	-	5,101	52
გადაცემა დაუმთავრებელ მშენებლობაზე	-	1,945	-	-	-	-	1,945	(43)
გასვლები / ჩამოწერები	-	-	-	(88)	-	(1,554)	(1,642)	(1,827)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**4,566**	**332,306**	**532**	**472**	**7,273**	**101**	**345,250**	**1,620**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	4,566	332,306	532	472	7,273	101	345,250	1,620
შესყიდვები	4	5,828	-	2	1	-	5,835	392
გადაცემა წინასწარ გადახდილ ფინანსურ ხარჯზე	-	-	-	-	-	-	-	(422)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**4,570**	**338,134**	**532**	**474**	**7,274**	**101**	**351,085**	**1,590**
ცვეთა და გაუფასურების ზარალები								
1 იანვარი 2021	-	-	396	371	2,896	745	4,408	-
წლის ცვეთა	-	-	91	72	1,455	207	1,825	-
გასვლები	-	-	-	(67)	-	(851)	(918)	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	487	**376**	**4,351**	**101**	**5,315**	**-**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**-**	**-**	487	**376**	**4,351**	**101**	**5,315**	**-**
წლის ცვეთა	-	-	17	53	1,455	-	1,525	-
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურების ზარალები	4,570	338,134	28	-	1,468	-	344,200	1,590
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**4,570**	**338,134**	**532**	**429**	**7,274**	**101**	**351,040**	**1,590**
საბალანსო ღირებულებები								
2021 წლის 31 დეკემბერს	**4,566**	**332,306**	**45**	**96**	**2,922**	**-**	**339,935**	**1,620**
2022 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**-**	**45**	**-**	**-**	**45**	**-**

დაუმთავრებელი მშენებლობა - მოიცავს პროექტის მშენებლობისთვის გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს, რაც ძირითადად საინჟინრო კვლევებზე, ზოგად საპროექტო სამუშაოებზე და მისასვლელი გზების განახლებაზე გაწეული პროფესიული საინჟინრო ხარჯებისგან შედგება. დაუმთავრებელი მშენებლობა ასევე მოიცავს იურიდიული, გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურების და სხვა ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი არ მოიცავს კრედიტორთა ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად მიღებულ გარემოსდაცვითი და ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებს, რომლებიც აღრიცხულია წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სახით და რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული სესხის თავდაპირველი შეფასებისას მისი მიღების დროს (იხ. ასევე შენიშვნა 8).

მიწა - იმპლემენტაციის ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ უნდა შეიძინოს და გადასცეს პროექტისთვის აუცილებელ ყველა მიწის ნაკვეთზე მშენებლობის კანონიერი საკუთრება და/ან უფლება („აუცილებელი მიწის ნაკვეთები“). საჯარო მიწებისთვის, კომპანია საქართველოს მთავრობას გადაუხდის 1 აშშ დოლარს (ყველა გადასახადის, რეგისტრაციისა და სანოტარო მოსაკრებლის და სხვა ხარჯების ჩათვლით), ხოლო კერძო მიწებისთვის კომპანიამ საქართველოს მთავრობის მიერ შეძენისას ფაქტობრივად გაწეული ხარჯები უნდა აანაზღაუროს.

(a) ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურება - პროექტთან დაკავშირებული გრძელვადიანი აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ კომპანიის არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე დაბალია ან ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება. გაუფასურებაზე ტესტირების მიზნებისთვის, კომპანია მის ყველა გრძელვადიან, არაფინანსურ აქტივს (კერძოდ, ძირითადი საშუალებები, წინასწარ გადახდილ ფინანსური ხარჯები, გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით) ერთ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ანაწილებს.

2022 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა კომპანიას დაახლოებით 13%-ით შეემცირებინა ელექტროენერგიის ტარიფი იმ ტარიფთან შედარებით, რომელიც იყო ყველაზე დიდი და რომელიც კომპანიამ გაითვალისწინა საბაზისო სცენარში (2015 წლის 31 დეკემბერს დადებულ იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში (შესწორებული და გადახედილი 2017 წელს) განსაზღვრულის შესაბამისად). ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებამ არსებითი უარყოფითი გავლენა იქონია პროექტის მომგებიანობაზე და ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი გაუფასურების ინდიკატორს წარმოადგენდა. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება დაფუძნებული იყო მის გამოყენების ღირებულებაზე, რაც შეადგენდა უარყოფით 60,845 ათას ლარს (22,500 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტური), რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ჰესის მიერ გენერირებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. 384,515 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებაზე (ნულის ტოლი) დიდი ოდენობით განისაზღვრა და 384,515 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდა როგორც „გაუფასურება“ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯები დაახლოებით ნულის ტოლი ოდენობით განისაზღვრა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არ არის მოსალოდნელი, რომ არსებული აქტივები (რაც ძირითადად პროექტზე მიკუთვნებად დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებულ ხარჯებს წარმოადგენს), ცალ-ცალკე ან სხვა გრძელვადიან აქტივებთან ერთად, შექმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ის მოვლენები და გარემოებები, რომლებმაც გაუფასურების აღიარება გამოიწვია, ძირითადად ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებას და გენერირების პირველი პერიოდის გადადებას უკავშირდება, როგორც აღნიშნულია „დამატებითი ხელშეკრულების“ დრაფტის პირობებში, რომლებიც 2022 წელს იქნა შეთანხმებული (იხ. ასევე შენიშვნა 2 (a).

’000 ლარი	საბალანსო ღირებულებები 2022 წლის 31 დეკემბერს, უშუალოდ გაუფასურებამდე
ძირითადი საშუალებები	344,200
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	1,590
წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი	37,715
არამატერიალური აქტივები	204
აქტივები გამოყენების უფლებით	806
ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება	**384,515**

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის შემდეგი ძირითადი დაშვებები გამოიყენება:

- ხდება გადასახადების შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირება 54-წლიანი საპროგნოზო პერიოდისთვის და კეთდება დაშვება, რომ ჰესი თავის საქმიანობას 2028 წლის ივლისში დაიწყებს.
- ელექტროენერგიის წარმოების პროგნოზები დაფუძნებული იყო კომპანიის ტექნიკური მრჩეველის მიერ მომზადებულ ტექნიკურ ანგარიშებზე, რომლებშიც მითითებული იყო ჯამური თვიური წარმოება და ჯამური თვიური ზარალები;
- პროგნოზირებული საწყისი ელექტროენერგიის ტარიფი ტოლი იყო ელექტროენეგიის ახალი ტარიფისა, რომელზეც მოლაპარაკებები წარმოებდა საქართველოს მთავრობასთან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (და რომელიც მოგვიანებით, 2023 წლის მაისში, ფორმალურად იქნა შეთანხმებული „დამატებითი ხელშეკრულების“ საშუალებით, შენიშვნა 2(b)-ში წარმოდგენილის შესაბამისად). გაუფასურების მოდელი ვარაუდობს წლიური ზრდის 3%-იან განაკვეთს, პირველი სრული გენერირების პერიოდიდან 15 წლის განმავლობაში;
- გადასახადების შემდეგ დისკონტირების 8.88%-იანი განაკვეთი გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულადი ნაკადების მოთხოვნილ ამონაგების განაკვეთს მსგავს მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების ინვესტირებულ კაპიტალზე და აშშ დოლარშია დენომინირებული.
- კაპიტალური დანახარჯები წარმოადგენს დამატებით კაპიტალურ დანახარჯებს 2023-2028 წლებში, ხოლო ტექნიკური მომსახურების კაპიტალური დანახარჯები ხარჯად აღიარდება მთლიანი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში, და ძირითადი კაპიტალური დანახარჯები კაპიტალიზირდება 2053 წელს. გარდა ამისა, დამატებითი ძირითადი კაპიტალური დანახარჯები ტერმინალურ პერიოდში მიჩნეულია, როგორც ტერმინალური ღირებულების კორექტირება; და
- ტერმინალური ზრდის განაკვეთი 2%-ით შეფასდა.

ძირითადი დაშვებები, რომელთა მიმართაც გაუფასურების მაჩვენებლის ანალიზი არის ყველაზე მგრძნობიარე, არის:

- დისკონტირების განაკვეთი - დისკონტირების განაკვეთის 1.2%-იანი საბაზისო პუნქტით შემცირება, ანაზღაურებადი ღირებულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებასთან გათანაბრებას გამოიწვევდა. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, უცვლელი დარჩება.
- ტარიფი - გადახედილი ელექტროენერგიის ტარიფის 22%-იანი ზრდა, ანაზღაურებადი ღირებულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებასთან გათანაბრებას გამოიწვევდა. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, უცვლელი დარჩება.

8. წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი

'000 ლარი	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	**34,240**	**33,349**
აღიარებული პერიოდის განმავლობაში	3,475	891
წინასწარ გადახდილი ფინანსურ ხარჯების გაუფასურება	(37,715)	-
ნაშთი წლის ბოლოს	**-**	**34,240**

კომპანიამ დაიქირავა იურიდიული, ფინანსური და ტექნიკური მრჩეველები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან დაფინანსების მოზიდვაში დახმარების გაწევის მიზნით. აღნიშნული საფასური წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული დაფინანსების მოპოვებასთან და აღიარებულია წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სახით. დაგეგმილი იყო წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სესხების თავდაპირველი შეფასებისას გათვალისწინება, მაგრამ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები სრულად იყო გაუფასურებული, იხ. ასევე შენიშვნა 4 (a).

9. სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2022	2021
სხვა მოთხოვნები	23,534	23,534
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(21,417)	(21,417)
	2,117	**2,117**

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, სხვა მოთხოვნების ნაშთი მოიცავს 2,117 ათასი ლარის ოდენობით, „Salini Impregili S.p.A“-ს მიმართ არსებულ მოთხოვნებს, გვირაბების საბურღი მანქანების შეძენისთვის (31 დეკემბერი 2021: 2,117 ათასი ლარი).

2021 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ სალინის მიმართ არსებული მოთხოვნა იყო გაუფასურებული საკრედიტო რისკით და 2,117 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარა. კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ რისკზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განხილულია 15(b) შენიშვნაში.

2020 წლის განმავლობაში, „ქართული სამშენებლო კონსორციუმისთვის“ გადახდილი ავანსები 22,054 ათასი ლარის ოდენობით, „გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსებიდან“ „სხვა მოთხოვნებში“ რეკლასიფიცირდა. ზემოაღნიშნული წინასწარი გადახდა ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან გაფორმებულ „გადაუდებელი სამუშაოები და დამხმარე სამუშაოების“ ხელშეკრულებებზე გადანაწილდა. თუმცა, კონტრაჰენტთან მიმდინარე სამართალწარმოების გათვალისწინებით (იხ. შენიშვნა 17(a)), ხელმძღვანელობა არ მოელის წინასწარი გადახდის ანაზღაურებას სამშენებლო მომსახურების მიღების გზით. 22,054 ლარის ოდენობით მოთხოვნა ქართული სამშენებლო კონსორციუმის მიმართ იქნა ურთიერთგადაფარული კონტრაჰენტის მიმართ არსებულ 2,754 ათასი ლარის ოდენობით ვალდებულებასთან. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ „ქართული სამშენებლო კონსორციუმის“ მიმართ არსებული მოთხოვნა იყო გაუფასურებული საკრედიტო რისკით და აღიარა შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წმინდა დაქვემდებარების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე - 19,300 ათას ლარზე. კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ რისკზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განხილულია 15(b) შენიშვნაში.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2022	2021
საბანკო ნაშთები	4,411	10,045
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	**4,411**	**10,045**

კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ რისკზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განხილულია მე-15 შენიშვნაში.

11. გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები

44,958 ათასი ლარის (2020: 45,042 ათასი) ოდენობით გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები მოიცავს გვირაბების საბურღ მანქანებს, სამშენებლო ბანაკებს, მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებებს და მძიმე ტექნიკას, რომლებიც გადაცემულ იქნა კომპანიისთვის EPC კონტრაქტორის („Salini Impregili S.p.A“) მიერ, TSD-ს ფარგლებში, 2018 და 2019 წლებში. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ხელმძღვანელობას ზემოაღნიშნული აქტივების ახალი EPC კონტრაქტორისთვის გადაცემა აქვს განზრახული. თავდაპირველი, აქტივების გადაცემა მოსალოდნელი იყო 2020 წლის განმავლობაში, მაგრამ „შერჩეულ პრეტენდენტთან“ მოლაპარაკებების შეწყვეტის შედეგად (იხ. შენიშვნა 2 (b)), გასაყიდად ფლობილი აქტივების სახით აღიარებული აქტივების გაყიდვა არ მოხდა 2020 წელს. გაყიდვები კიდევ უფრო შეაფერხა იმ ფაქტმა, რომ „გვირაბის საბურღი მანქანების“ გამოყენება შეზღუდული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების მიხედვით (იხ. ასევე შენიშვნა 17(b)).

კომპანიის თავდაპირველად შემუშავებულ გაყიდვის გეგმის განხორციელების გადაწყვეტილების და 2022 წლის განმავლობაში აქტივების მდგომარეობაში, გამოყენებაში და გაყიდვაში არსებითი ცვლილებების არარსებობის გათვალისწინებით, გაყიდვის დასრულების პერიოდის გახანგრძლივებას ხელი არ შეუშლია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის „გასაყიდად ფლობილის“ კატეგორიაში კლასიფიკაციისთვის.

12. წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა

'000 ლარი	2022	2021
დამატებული ღირებულების გადასახადი, ანაზღაურებადი	22,920	25,599
სხვა საგადახადო ვალდებულებები	(17,496)	(20,026)
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა	**5,424**	**5,573**

13. კაპიტალი და რეზერვები

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, ათას ლარში (სხვაგვარად მითითებამდე)	ჩვეულებრივი აქციები	
	2022	**2021**
გამოშვებული 1 იანვარს	207,126	193,715
გამოშვებული აქციები	4,416	13,411
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	**211,542**	**207,126**
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება	1 აშშ დოლარი	1 აშშ დოლარი

ყველა ჩვეულებრივი აქცია ფასდება თანაბრად კომპანიის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

კომპანიის წესდების მიხედვით, კომპანიის მთლიანი ავტორიზებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 330,000 ათას აქციას, ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი აქციაზე. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, გამოშვებულ იქნა 211,542 ათასი აქცია (2021 წლის 31 დეკემბერი: 207,126). 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულად იქნა გადახდილი. ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ კომპანიის აქციონერთა საერთო კრებებზე ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

2022 წელს, K-water-მა განახორციელა 6,003 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანი (16,799 ათასი ლარის ეკვივალენტური) კომპანიის კაპიტალში, 6,003 ათასი ჩვეულებრივი აქციის სანაცვლოდ. 2022 წლის 31 დეკემბერს, კომპანიამ დაარეგისტრირა 4,416 ათასი აქცია, ხოლო დარჩენილი 1,587 ათასი აქცია არ ყოფილა რეგისტრირებული 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, 4,404 ათასი ლარის ოდენობით ფულადი შენატანი იქნა აღიარებული როგორც წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი, კაპიტალში.

2021 წელს, K-water-მა განახორციელა დამატებით 6,513 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანი (20,425 ათასი ლარის ეკვივალენტური) კომპანიის კაპიტალში, დამატებით 6,513 ათასი ჩვეულებრივი აქციის სანაცვლოდ. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია იქნა დარეგისტრირებული.

a) დივიდენდები

სააქციო კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. დივიდენდები აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადების პერიოდში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიები უნდა ფლობდნენ გასანაწილებელ რეზერვებს იმ ოდენობით, რომ მათი მთლიანი აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და გამოშვებულ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2022 და 2021 წლებში დივიდენდები არ ყოფილა გამოცხადებული ან გადახდილი.

14. კაპიტალის მართვა

მშობელი კომპანია ნერგავს კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკას და მისი მიზანია უზრუნველყოს კაპიტალის ძლიერი ბაზა, რათა შეინარჩუნოს ინვესტორის, კრედიტორის და ბაზრის მონაწილეთა ნდობა და შეინარჩუნოს პროექტის მომავალი განვითარება. კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 15 (b) (ii);
- ლიკვიდურობის რისკი - შენიშვნა 15 (b)(iii);
- საბაზრო რისკი - შენიშვნა 15 (b)(iv).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

აღმასრულებელ დირექტორს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და ამოწმებს რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს. გაუფასურების ზარალები ფინანსურ აქტივებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია ქვემოთ.

	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**2022**	**2021**
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(21,417)	(21,417)
	(21,417)	(21,417)

საბანკო ნაშთები

კომპანია მისი ფულადი სახსრების უმეტესობას ფლობს ერთ ქართულ ბანკში, რომელსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგი B.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება დაანგარიშებული იყო 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაჰენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

კომპანია არ მოელის, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

სხვა მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული კონტრაჰენტის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მისი კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკი, რომელშიც ოპერირებს კონტრაჰენტი. კომპანიის მიმოხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებას, საკრედიტო სააგენტოებიდან მიღებულ ინფორმაციას, ინდუსტრიის შესახებ ინფორმაციას და ხელმისაწვდომ პრეს ინფორმაციას კონტრაჰენტებზე.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის სხვა მოთხოვნების ნაშთი მთლიანად არის დაკავშირებული შემდეგ ორ კონტრაჰენტთან: „Salini Impregili S.p.A“ და ქართული სამშენებლო კონსორციუმი. (იხ ასევე შენიშვნა 9). მთლიანი საკრედიტო დაქვემდებარების დაახლოებით 80% კონცენტრირებულია საქართველოში, ხოლო დანარჩენი ნაწილი - იტალიაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ ძირითად ამოსავალ მონაცემებს შემდეგი ცვლადების ვადიანობის სტრუქტურა წარმოადგენს:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

პირველი დონის დაქვემდებარებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12-თვიანი „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლებით. მეორე და მესამე დონის დაქვემდებარებებისთვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლების გზით.

გაუფასურების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები, დაშვებები და მეთოდები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაახლოებით 80% (2021: 80%) დარიცხულია სხვა მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე, შესადარისი საკრედიტო პროფილის/რეიტინგის და/ან გადახდების მოლოდინების მიხედვით.
2022 წლის 31 დეკემბრისთვის, 19,300 ათასი ლარის ოდენობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაკავშირებულია ქართული სამშენებლო კონსორციუმის მიმართ არსებული მოთხოვნის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან (2021 წლის 31 დეკემბერი: 19,300 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, დაუფარავი ნაშთი ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან მესამე დონეზე განაწილდა, შედეგად დეფოლტის ალბათობა ქსკ-ს მიმართ მოთხოვნისთვის 100%-ით შეფასდა.

„ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ დეფოლტის შემთხვევაში სავარაუდო ზარალის ოდენობას წარმოადგენს. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობის შეფასებით, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში „ქართული სამშენებლო კონსორციუმის“ მიმართ არსებული მოთხოვნებისთვის შეადგენს 100%-ს, შემდეგი მიზეზების გამო: (ა) სასამართლო პროცესი შეიძლება გაგრძელდეს და მისი ვადების სიზუსტით პროგნოზირება შეუძლებელია; (ბ) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, „ქართული სამშენებლო კონსორციუმის ქონება დაგირავებულია საგადასახადო ორგანოების და სხვა მესამე მხარეების მიერ, კომპანიის მიერ სააღსრულებო საქმიანობის დაწყების შემთხვევაში „ქართული სამშენებლო კონსორციუმისგან“ მისაღები აქტივების სამართლიანი ღირებულების სანდოდ შეფასება შეუძლებელია.

დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს სავარაუდო დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში. დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში ფინანსური აქტივებისთვის არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დეფოლტის ალბათობა „ქართული სამშენებლო კონსორციუმისთვის“ 100%-ით შეფასდა (იხ. ქვემოთ), მოთხოვნის დაუფარავი ნაშთის „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“ ასევე 100%-ით იქნა შეფასებული.

განსაზღვრა იმისა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული დეფოლტის რისკის არსებითი ზრდის დასადგენად, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე ექსპერტის საკრედიტო შეფასებას და საპროგნოზო ინფორმაციას.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, მოთხოვნები „ქართული სამშენებლო კონსორციუმის“ მიმართ განაწილებულია მე-3 დონეზე, რადგან ხელმძღვანელობის შეფასებით არ არის სავარაუდო, რომ კონტრაჰენტი სრულად დაფარავს მის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ ისეთი ქმედებების გამოყენების გარეშე როგორიცაა სარჩელის შეტანა არბიტრაჟში. კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი „ქსკ“-თან, იხილეთ აგრეთვე შენიშვნა 17(b).

სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის რეზერვი

’000 ლარი	2022	2021
მთლიანი საბალანსო ღირებულება	23,534	23,534
ზარალის რეზერვი	(21,417)	(21,417)
	2,117	**2,117**

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

’000 ლარი	2022	2021
ნაშთი1 იანვარს	(21,417)	(19,300)
ზრდა წლის განმავლობაში	-	(2,117)
ნაშთი 31 დეკემბერს	(21,417)	(21,417)

სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, მანამ სანამ კომპანია არ დარწმუნდება, რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებულ თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. თუ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ აღინიშნება არსებითი გაუმჯობესება საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ ანაზღაურებებში, ხელმძღვანელობა ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენას აღიარებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით.

კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია ჯერ არ გამოიმუშავებს ფულად სახსრებს და იღებს დაფინანსებას მისი უმრავლესობის აქციონერებისგან. ამ მიზნით, კომპანია აკეთებს პროგნოზებს ფულადი ნაკადების გადინებებისთვის, სავარაუდო ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომლებიც დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოებით განისაზღვრება. პროექტის დაფინანსების მისაღებად და ფინანსური დახურვის მისაღწევად, კომპანია საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან მოლაპარაკებების პროცესში იმყოფება (როგორც ეს განსაზღვრულია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით), იხილეთ აგრეთვე შენიშვნა 2(b). კომპანია სესხებიდან მიღებული შემოსულობების და აქციონერების მიერ განხორციელებული კაპიტალური შენატანების გამოყენებას პროექტის მშენებლობასთან დაკავშირებული კაპიტალური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად გეგმავს.

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების, დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

31 დეკემბერი 2022

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	მთლიანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	766	766	213	553
სხვა ვალდებულებები	2,562	2,562	2,562	-
	3,328	**3,328**	**2,775**	**553**

31 დეკემბერი 2021

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	მთლიანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	1,268	1,268	367	901
სხვა ვალდებულებები	1.194	1.194	1.194	-
	2,462	**2,462**	**1,561**	**901**

i. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანიის კაპიტალი დენომინირებულია აშშ დოლარში (USD) და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები ძირითადად ინახება აშშ დოლარში. მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო შეთანხმებები, რომლებიც არსებით ფულადი სახსრების გადინებებს იწვევს, ასევე ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში. ეს წარმოქმნის ეკონომიკურ ჰეჯირებას, სავალუტო რისკისთვის წარმოებული ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობის გარეშე.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

’000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2022	აშშ დოლარში დენომინირებული 2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,917	9,790
სხვა ვალდებულებები	(1,886)	(1,099)
წმინდა დაქვემდებარება	**2,031**	**8,691**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2022	2021	2022	**2021**
1 აშშ დოლარი	2.9156	3.2306	2.702	3.0976

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების გავლენას.

’000 ლარი	მოგება ან (ზარალი)	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2022		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(203)	203
31 დეკემბერი 2021		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(869)	869

16. ვალდებულებები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, „კავკასენერგოსგან“ სამშენებლო მომსახურების შეძენის კაპიტალური ვალდებულებები იყო შემდეგი:

	სახელშეკრულებო ოდენობა	2022 წლის 31 დეკემბრისთვის გაწეული კაპიტალური ვალდებულებები	დარჩენილი სამშენებლო პერიოდის განმავლობაში გასაწევი სახელშეკრულებო ვალდებულება
ათას აშშ დოლარში	8,761	1,582	7,179
ათას ქართულ ლარში *	**28,304**	**4,275**	**24,029**

	სახელშეკრულებო ოდენობა	2021 წლის 31 დეკემბრისთვის გაწეული კაპიტალური ვალდებულებები	დარჩენილი სამშენებლო პერიოდის განმავლობაში გასაწევი სახელშეკრულებო ვალდებულება
ათას აშშ დოლარში	8,761	1,582	7,179
ათას ქართულ ლარში *	**27,138**	**4,900**	**22,238**

* 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის გაწეული კაპიტალური ვალდებულებები და გასაწევი სახელშეკრულებო ვალდებულებების სახით კლასიფიცირებული ოდენობები, წარმოადგენს ეკვივალენტურ ოდენობებს ლარში, კონვერტირებულს წლის ბოლოს სებ-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

17. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. EPC ხელშეკრულება განსაზღვრავს კომპანიისა და კონტრაქტორის პასუხისმგებლობებს EPC ხელშეკრულების ფარგლებში აშენებულ/დამონტაჟებულ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისების შეძენასთან და მომსახურებასთან დაკავშირებით. „AON Korea Inc.“ კომპანიას უწევს დახმარებას დაზღვევის/რისკების განაწილების კუთხით და კომპანიის მიერ შესასყიდ შესაბამის სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებით გასწევს კონსულტაციებს.

(b) სასამართლო დავა

სასამართლო დავა შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“.

2020 წლის 8 დეკემბერს, კომპანიის კონტრაქტორმა, შპს „ქსკ“-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შემდეგი დროებითი ზომების გამოყენება კომპანიის წინააღმდეგ, სარჩელის შეტანამდე:

- ყველა მოძრავი ქონების დაყადაღება, მათ შორის გვირაბის საბურღი მანქანების გამოყენების შეზღუდვა;
- კომპანიის უფლების შეზღუდვა გააფორმოს ნებისმიერი ხელშეკრულება ნებისმიერ მესამე მხარესთან, რომელიც სერპანტინის გზის სამშენებლო სამუშაოებს ეხება, „ქსკ“-სთან დავის გადაწყვეტამდე;
- კომპანიის უფლების შეზღუდვა გამოიყენოს დაახლოებით 610 ათასი აშშ დოლარის ოდენობით „ქსკ“-ის მიერ უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიები „გადაუდებელი სამუშაოების ხელშეკრულების“ შესაბამისად.

2020 წლის 9 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა „ქსკ“-ს განცხადება და გამოსცა ბრძანება ყველა ზემოაღნიშნული დროებითი ზომის მიღებაზე, რაც კომპანიამ 2020 წლის 21 დეკემბერს გაასაჩივრა. 2020 წლის 14 დეკემბერს, „ქსკ“-მ შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში კომპანიის და სს „თიბისი ბანკის“ წინააღმდეგ, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ:

- კომპანიას უნდა მოეთხოვოს „ქსკ“-თან სერპანტინის გზისა და ხეების ჭრის სამუშაოებზე ხელშეკრულების გაფორმება;
- „ქსკ“-ს უნდა აუნაზღაურდეს 30,484 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ზარალი, რომელიც გამოწვეულია სერპანტინის გზის ხელშეკრულების შეუსრულებლობით, პროცენტი კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების და „გადაუდებელი სამუშაოების და დამატებითი სამუშაოების“ ხელშეკრულებების შეუსრულებლობით გამოწვეული მოსალოდნელი მოგების დაკარგვაზე.
- საბანკო გარანტიები უნდა იქნეს შეწყვეტილი, „ქსკ“-ს მიერ მისი ძირითადი ვალდებულებების შესრულების საფუძველზე.

2020 წლის 28 დეკემბერს, კომპანიამ შეგებებული სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში „ქსკ“-ს სარჩელის უარყოფის მოთხოვნით. 2021 წლის 16 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა ახალი ბრძანება, რომლის მიხედვითაც მოხსნილია პირველი ორი ზომა, ანუ ქონების ყადაღა და ხელშეკრულების გაფორმების შეზღუდვა. ძალაში დარჩა მხოლოდ საბანკო გარანტიის გამოყენების შეზღუდვა.

„ქსკ“-ს მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა ახალი ბრძანება 2021 წლის 23 აგვისტოს. უკანასკნელი ამკრძალავი ბრძანების მიხედვით, საქალაქო სასამართლომ ბრძანა (ა) გვირაბების საბურღი მანქანების გაჩერება; და (ბ) კომპანიის უფლების შეზღუდვა გააფორმოს ხელშეკრულება ნებისმიერ მესამე მხარესთან სერპანტინის გზის მშენებლობაზე მანამ, სანამ კომპანიასა და ქსკ-ს შორის დავის გადაწყვეტამდე ზემოაღნიშნული ამკრძალავი ბრძანება გასაჩივრდა კომპანიის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მიღების კანონით დადგენილი ვადა 2021 წლის ნოემბერში ამოიწურა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ („TCA“) გადაწყვეტილება მხოლოდ 2023 წლის 10 მაისს გამოსცა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კომპანიის სარჩელი - გააუქმა 2021 წლის ბრძანება, რადგან ის არ იყო დასაბუთებული და კვლავ დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველად.

2023 წლის 15 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კვლავ დააკმაყოფილა „ქსკ“-ის მიერ მოთხოვნილი დროებითი ზომები და ბრძანა გვირაბების საბურღი მანქანების გაჩერება და აუკრძალა კომპანიას ხელშეკრულების გაფორმება ნებისმიერ მესამე მხარესთან სერპანტინის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, დავის გადაწყვეტამდე. კომპანიამ გაასაჩივრა ახალი შემზღუდავი ბრძანება, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.

2021 წლის 5 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის თავზე აიღო აღნიშნული საქმის იურისდიქცია და განაგრძო სასამართლო პროცესი. ბოლო მოსმენა გაიმართა 2021 წლის 15 სექტემბერს და გადაიდო გაურკვეველი თარიღისთვის. მას შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსმენა არ დაუნიშნავს.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის ხელშეკრულებები ითვალისწინებს დავების გადაწყვეტას დავების განხილვის საბჭოს ან არბიტრაჟის მეშვეობით, 2021 წლის 14 ოქტომბერს, კომპანიამ „ქსკ“-ის წინააღმდეგ საარბიტრაჟო წარმოება („არბიტრაჟი“) დაიწყო. არბიტრაჟი განთავსებული იყო პარიზში და მას ადმინისტრირებას უწევდა საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC), საერთაშორისო სავაჭრო პალატის 2021 წლის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. არბიტრაჟი ეხება დავას, რომელიც მხარეთა შორის გაფორმებული „მოსამზადებელი სამუშაოების ხელშეკრულების“ მიხედვით, „ქსკ“-ის ვალდებულებების შეუსრულებლობით არის გამოწვეული. 2023 წლის 8 სექტემბერს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოსცა საბოლოო გადაწყვეტილება არბიტრაჟთან დაკავშირებით კომპანიის სასარგებლოდ და „ქსკ“-ს კომპანიისთვის დაახლოებით 26 მილიონი აშშ დოლარი გადახდა მოეთხოვა, საარბიტრაჟო ხარჯებთან და პროცენტებთან ერთად.

„ქსკ“-ს მოთხოვნების და „ქსკ“-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის „ქსკ“-ს სასარგებლოდ გადაწყვეტის ალბათობას ნაკლებად სავარაუდოდ აფასებს. ხელმძღვანელობის შეფასებას ასევე მხარს უჭერს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ გამოცემული განჩინება კომპანიის სასარგებლოდ.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ვარაუდობს, რომ ტექნიკური უპირატესობების საფუძველზე, რომელსაც ფლობს ხელმძღვანელობა, ზემოაღნიშნული სასამართლო დავის შედეგების კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი უარყოფითი გავლენის ალბათობა ძალიან დაბალია.

ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომელშიც კომპანია მესამე მხარის სახით მონაწილეობს

კომპანია ასევე ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ და ორი სხვა პირის („მოსარჩელეები“) მიერ ინიცირებულ სასამართლო პროცესში მესამე მხარის სახით. მოსარჩელეებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების შემოწმების თაობაზე 2019 წლის 4 თებერვლის სამინისტროს № 2-110 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, არსებითი მოსმენები არ არის დანიშნული. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შეესაბამება შესაბამის გარემოსდაცვით კანონებს და სასამართლო განხილვამ არ უნდა გამოიწვიოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობა ან სხვაგვარად გამოიწვიოს პროექტის მნიშვნელოვანი ცვლილებები.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ვარაუდობს, რომ ტექნიკური უპირატესობების საფუძველზე, რომელსაც ფლობს ხელმძღვანელობა, ზემოაღნიშნული სასამართლო დავის შედეგების კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი უარყოფითი გავლენის ალბათობა ძალიან დაბალია.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებები ახასიათებს, რაც ხშირად გაურკვეველი, ურთიერთგამომრიცხავი და განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ნებისმიერი მოქმედი კანონის მიღებასთან, გამოქვეყნებასთან, ძალაში შესვლასთან, ცვლილებასთან, შესწორებასთან, გაზრდასთან, გაუქმებასთან, ინტერპრეტაციასთან, ხელახალ ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან, რომელიც ეხება ნებისმიერ გადასახადს, მათ შორის ნებისმიერი გადასახადის გამოყენებას, რომელიც დაწესებულია კომპანიაზე ან მის აქციონერზე (მათ შორის გადასახადების დაკავება აქციონერებზე განხორციელებულ განაწილებებზე ან პოტენციურ კრედიტორებზე გადასახდელი თანხების გადახდაზე) შემსუბუქებულია იმპლემენტაციის ხელშეკრულების ფარგლებში. მსგავსი მოვლენები ექვემდებარება „გადასახადის ცვლილების“ განმარტებას, რომელიც მოცემულია იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში.

თუ ზემოაღნიშნული „გადასახადის ცვლილება“ ამცირებს და/ან ზრდის კომპანიის ან აქციონერების შემოსავალს ან ხარჯებს (შესაბამისად) „გადასახადის ცვლილების“ ზღვრულ ოდენობამდე ან მასზე მეტი ოდენობით (რაც, „იმპლემენტაციის ხელშეკრულებით“ განისაზღვრა როგორც 100 ათასი აშშ დოლარი ჯამში, წლიურად), კომპანიას აქვს უფლება მიიღოს შესაბამისი ოდენობების ანაზღაურება საქართველოს მთავრობისგან. მსგავს შემთხვევებში, საქართველოს მთავრობას შეუძლია (ა) განახორციელოს ანაზღაურება ტარიფის ზრდის საშუალებით ან (ბ) კომპანიას მსგავსი ოდენობა ერთჯერადი გადახდის სახით აუნაზღაუროს.

2020 წლის დეკემბერში, საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა (“GTA”) დაასრულეს კომპანიის საგადასახადო შემოწმება 2015 წლის აგვისტოდან 2018 წლის მაისამდე პერიოდისთვის. ადმინისტრაციული სარჩელის სასამართლოში შეტანის თარიღისთვის დარიცხულმა საგადასახადო ვალდებულებამ 2015 და 2016 წლის საგადასახადო პერიოდებისთვის შესაბამისად 25 ათასი ლარი და 5,216 ათასი ლარი შეადგინა.

კომპანიამ გაასაჩივრა საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ გაცემული შუალედური საგადასახადო შემოწმების აქტები. 2021 წლის 20 აგვისტოს, კომპანიამ ადმინისტრაციული აქტების (რომლებიც საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ დამატებით საგადასახადო დარიცხვას ითვალისწინებს) ბათილად ცნობის მოთხოვნით შემოსავლების სამსახურისა და სამინისტროს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანა.

2021 წლის 13 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დანიშნა საქმის წინასწარი პირველი მოსამზადებელი მოსმენა, სადაც მხარეებმა განიხილეს წინასწარი საკითხები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, შემდეგი სასამართლო სხდომა 2023 წლის 28 ნოემბერს არის ჩანიშნული.

ზემოაღნიშნული საგადასახადო შემოწმების აქტების ტექნიკური ასპექტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ კომპანიას მოეთხოვება დამატებითი ჯარიმების გადახდა, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(d) გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესშია და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებას. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ ცვლილებების განხორციელებით არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ან კანონმდებლობაში, თუმცა მათ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ ვითარებაში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

გარდა ამისა, იმპლემენტაციის ხელშეკრულების მიხედვით, თუ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების და რეგულაციების ცვლილება შეამცირებს და/ან გაზრდის კომპანიის ან აქციონერების შემოსავალს ან ხარჯებს (შესაბამისად) „კანონმდებლობის ცვლილების“ ზღვრულ ოდენობამდე ან მასზე მეტი ოდენობით (რაც, „იმპლემენტაციის ხელშეკრულებით“ განისაზღვრა როგორც 100 ათასი აშშ დოლარი ჯამში, წლიურად), კომპანიას აქვს უფლება მიიღოს შესაბამისი ოდენობების ანაზღაურება საქართველოს მთავრობისგან. მსგავს შემთხვევებში, საქართველოს მთავრობას შეუძლია (ა) განახორციელოს ანაზღაურება ტარიფის ზრდის საშუალებით ან (ბ) კომპანიას მსგავსი ოდენობა ერთჯერადი გადახდის სახით აუნაზღაუროს.

(e) გარანტიები

თავდაპირველი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, კომპანიამ წარმოადგინა სატენდერო შეთავაზების გარანტია 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მოქმედების ვადით 2024 წლის 31 აგვისტომდე. სატენდერო შეთავაზების გარანტია წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობისთვის სს „თიბისი ბანკის“ საშუალებით (იმპლემენტაციის ხელშეკრულების მიხედვით).

18. დაკავშირებული მხარეები

a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა „K-water“. K-water-ის ფინანსური ანგარიშგება კორეის მთავრობის საკუთრებაში არსებული და კვაზისახელმწიფო სააღრიცხვო რეგულაციებისა და სტანდარტების მიხედვით საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა კორეის რესპუბლიკა (92.6%-ის მფლობელი), ხოლო დარჩენილ 7.4%-ს საპარტნიორო ფონდი ფლობს.

b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა ხარჯების კატეგორიაში (იხ. შენიშვნა 5):

'000 ლარი	2022	2021
ხელფასები და ბონუსები	963	683
სხვა	344	198
	1,307	**881**

ii) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კორეის განვითარების ბანკი (“KDB”) არის K-water-ის აქციონერი და ფლობს მისი აქციების დაახლოებით 7%-ს, შესაბამისად KDB ითვლება დაკავშირებულ მხარედ. იმ ფინანსური შეთანხმებების მიხედვით, რომლებზეც კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს პროექტისთვის დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, KDB ჩართულია ერთ-ერთი პოტენციური კრედიტორის სახით. თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, მთლიანი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შემდეგ (მათ შორის KDB-ისთვის წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები), KDB-სთვის გადახდილი ავანსების ნაშთი ნულამდე შემცირდა (2021: 1,787 ათასი ლარი).

19. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა გასაყიდად ფლობილი აქტივებისა, რომლებიც აღრიცხულია მათ თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმცირესით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

(a) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა შემოსულობის თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(b) უცხოური ვალუტა

i. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(c) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება ან კაპიტალიზირდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(d) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

i. მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

ii. გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(e) გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც „გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები“ თუ მათი საბალანსო ღირებულება იქნება ანაზღაურებული ძირითადად გაყიდვის გზით და არა უწყვეტი გამოყენების გზით. გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაუყოვნებლად გასაყიდად მათ მიმდინარე მდგომარეობაში და არსებობს მათი გაყიდვის დიდი ალბათობა კლასიფიკაციის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. თუმცა, მისი გაყიდვის დასრულებისთვის საჭირო პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს სამართლებრივი ან მარეგულირებელი საკითხების, საბაზრო პირობების ან გარიგებაში სირთულეების არსებობის გამო. გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები ფასდება მათ საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმცირესის მიხედვით.

თუ გასაყიდად ფლობილი აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, მაშინ აქტივები ფასდება მათი გამოყენების ღირებულებით, რაც წარმოადგენს სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია აქტივების უწყვეტი გამოყენებით და მათი გაყიდვით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

გრძელვადიანი აქტივების გამოყენების ღირებულების განსაზღვრისთვის, კომპანია აფასებს მომავალ ფულად ნაკადებს, რომლებსაც წარმოქმნის აქტივები და ადისკონტირებს აღნიშნულ ფულად ნაკადებს მათ მიმდინარე ღირებულებაზე შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულის დროითი ღირებულების ბაზრის მიმდინარე შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

თუ აქტივების გამოყენების ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მის ანაზღაურებად ღირებულებას შორის, რაც აქტივის სამართლიან ღირებულებასა (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს წარმოადგენს.

გასაყიდად ფლობილი აქტივების საბალანსო ღირებულების შემდგომი ჩამოწერები (რაც არ მოიცავს გაყიდვების შედეგად წარმოქმნილ შემოსულობასა ან ზარალს) გაუფასურების ზარალის სახით აღიარდება.

(f) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

ყველა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი და პროექტის მართვის სხვა ხარჯები არ არის კაპიტალიზებული და პირდაპირ აისახება მოგებაში ან ზარალში, გარდა კომპანიის ტექნიკური გუნდის ხელფასებისა და მივლინების ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია სამშენებლო სამუშაოებთან და კაპიტალიზებულია დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს დაუმთავრებელი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებს რომლებიც შემდგომ კლასიფიცირებულია ძირითადი საშუალებების სახით. მსგავსი წინასწარი გადახდები აღრიცხულია თვითღირებულებით გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით და კლასიფიცირებულია გრძელვადიანის სახით, რადგან ის უკავშირდება აქტივს, რომელიც თავის მხრივ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანის სახით, თავდაპირველი აღიარებისას.

ii. შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება, სანამ აქტივი ექსპლუატაციაში არ შევა.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- სამშენებლო აღჭურვილობა 5 წელი;
- საოფისე აღჭურვილობა 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი
- ბანაკები 5 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო ღირებულებას, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან (გამოკლებული სავარაუდო გაყიდვის ხარჯები), თუ აქტივი უკვე არის იმ ასაკის და იმ მდგომარეობაში რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ძირითადი საშუალებების სახით კლასიფიცირებულ ყველა აქტივს ნულოვანი ნარჩენი ღირებულება აქვს.

(g) ფინანსური ინსტრუმენტები

i. აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც „კომპანია“ ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული), გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

ii. კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კომპანია“ ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სხვა მოთხოვნებს, როგორც წარმოდგენილია შენიშვნებში 10 და 9 შესაბამისად.

შეზღუდული ფულადი სახსრები გულისხმობს ფულად სახსრებს, რომლებიც გამოყოფილია კონკრეტული მიზნისთვის და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგადი ბიზნეს საქმიანობისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს ესქროში შენახულ ნაღდ ფულს, საგარანტიო დეპოზიტებს ან ტრასტში შენახულ ნაღდ ფულს. შეზღუდული ფულადი სახსრები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი ან მოკლევადიანი აქტივი, შეზღუდვის ბუნებიდან გამომდინარე. თუ მოსალოდნელია, რომ ფულადი სახსრების შეზღუდვა 1 წლის განმავლობაში მოიხსნება, მაშინ შეზღუდული ფულადი სახსრები მოკლევადიანი აქტივის სახით კლასიფიცირდება. თუ მოსალოდნელია, რომ ფულადი სახსრების შეზღუდვა 1 წელზე დიდხანს გაგრძელდება, მაშინ შეზღუდული ფულადი სახსრები გრძელვადიანი აქტივის სახით კლასიფიცირდება.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

iii. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვის“ კრიტერიუმთან (კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც მოდიფიცრებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია პერსპექტიულად.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

iv. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

v. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება

(h) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დამატებითი ხარჯები აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი გადასახადების გამოკლებით. სააქციო კაპიტალის ზრდაზე გავლენა აქვს ახალი აქციების გამოშვებას.

(i) გაუფასურება

i. არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მოხსენიებულია როგორც „ეტაპი 1“-ის ფინანსური ინსტრუმენტები. ეტაპი 1-ზე განაწილებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს არ განუცდიათ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ისინი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის ან დაქვემდებარების მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მაგრამ არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით, მოხსენიებულია როგორც „ეტაპი 2“-ის ფინანსური ინსტრუმენტები. ეტაპი 2-ზე განაწილებული ფინანსური ინსტრუმენტები არის ინსტრუმენტები, რომლებმაც განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ისინი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, და არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით, მოხსენიებულია როგორც „ეტაპი 3“-ის ფინანსური ინსტრუმენტები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „კომპანია“) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჩამოწერილი თანხებიდან კომპანია არ ელოდება მნიშვნელოვან აღდგენას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

ii. არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალები ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(j) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(k) წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები

წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები მოიცავს საოპერაციო დანახარჯებს, რომლებიც წარმოადგენს დამატებით დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ფინანსური ვალდებულების შეძენასთან. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი რომელიც არ იქნებოდა გაწეული იმ შემთხვევაში თუ ოპერაციას არ ექნებოდა ადგილი. საოპერაციო დანახარჯები იურიდიული და ფინანსური მრჩევლებისთვის გადახდილ საფასურსა და საკომისიოს მოიცავს. საოპერაციო დანახარჯები არ მოიცავს სასესხო პრემიებსა და დისკონტირებას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს. აღნიშნული ხარჯები აკუმულირდება წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სახით, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული სესხის თავდაპირველი შეფასებისას მისი მიღების დროს.

(l) აქტივები გამოყენების უფლებით

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ თარიღი, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება). აქტივები გამოყენების უფლებით თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომ, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და კორექტირებულია საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასებით. გამოყენების უფლებით აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების ოდენობას და დაწყების თარიღამდე ან აღნიშნული თარიღისთვის განხორციელებულ საიჯარო გადახდებს (გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები). გარდა შემთხვევებისა, როდესაც კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, რომ იჯარის ვადის ბოლოს მიიღებს საკუთრებას იჯარით აღებულ აქტივზე, აღიარებულ აქტივებს გამოყენების უფლებით ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მათ სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესის მიხედვით. აქტივები გამოყენების უფლებით ექვემდებარება გაუფასურებას.

(m) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს იჯარის ვადის მანძილზე გადასახდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ საიჯარო ვალდებულებებს. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები) გამოკლებული ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნები, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, და ასევე, ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობები. საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის თუ იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთი არ არის ადვილად განსაზღვრადი. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების ოდენობა გაზრდილია პროცენტის დაგროვების ასახვის მიზნით და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადასახდელებით. ამასთანავე, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაფასებულია თუ არსებობს მოდიფიცირება, საიჯარო ვადის ცვლილება, არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების ცვლილება ან ცვლილება საიჯარო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

26. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების შესწორებები
- სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის შესწორებები)
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორებები)

27. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

წლის ბოლოს შემდეგ, შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა:

- 2022 წლის 15 ნოემბრიდან 2023 წლის 17 იანვრამდე, კომპანიის ადმინისტრაციისა და ფინანსების უფროსმა კომპანიის ფულადი სახსრები მიითვისა. მან 2022 წლის ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, კომპანიის საბანკო ანგარიშიდან პირად ანგარიშზე 1,144 ათასი ლარი გადარიცხა. თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მითვისებული 1,144 ათასი ლარი მთლიანად დაბრუნდა კომპანიის ანგარიშზე. შემდგომში, 2023 წლის იანვრის განმავლობაში, მან კომპანიის საბანკო ანგარიშიდან დამატებით გადაირიცხა 1,615 ათასი ლარი.

  2023 წლის 17 იანვარს კომპანიამ აღმოაჩინა თაღლითური ქმედება და დაუყოვნებლივ მიიღო შესაბამისი ზომები. შედეგად, სასაზღვრო პოლიციამ დააკავა კომპანიის ადმინისტრაციისა და ფინანსების უფროსი. ეჭვმიტანილს საქართველოს შესაბამისმა სამართალდამცავმა ორგანოებმა ბრალი წაუყენეს და სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს. კომპანია ყურადღებით აკვირდება საქმეს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს შესაბამის ზომებს. ამავდროულად, კომპანიამ ჩაატარა შიდა კონტროლის სისტემის საფუძვლიანი შემოწმება და შემოიღო მაკონტროლებელი სისტემა, რათა დაიცვას თავისი აქტივები მითვისებისგან;

- 2023 წელს, K-water-მა განახორციელა 5,856 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანი (15,095 ათასი ლარის ეკვივალენტური) კომპანიის კაპიტალში, 5,856 ათასი ჩვეულებრივი აქციის სანაცვლოდ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, კომპანიას არ დაურეგისტრირებია აღნიშნული აქციები და დაკავშირებული, 15,095 ლარის ოდენობით ფულადი სახსრების მიღება აღიარდა როგორც წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი, კაპიტალის ფარგლებში.

დანართი

დამატებითი ფინანსური ინფორმაცია აშშ დოლარში

პრაქტიკულად მოსახერხებელი გადაანგარიშება

ფინანსური ანგარიშგების ლარში წარდგენის გარდა, დამატებითი ინფორმაცია აშშ დოლარში წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების პრაქტიკული მოხერხებულობისთვის.

წინამდებარე შენიშვნა მომზადებულია ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ფინანსური ინფორმაციის აშშ დოლარში წარსადგენად.

ლარში დენომინირებული ტრანზაქციები კონვერტირებულია აშშ დოლარში ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული სებ-ის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ლარში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება აშშ დოლარში ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სებ-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც გარიგებების დაკმაყოფილების და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების აშშ დოლარში კონვერტაციის შედეგად წარმოიშვება მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

'000 აშშ დოლარი	**31 დეკემბერი 2022**	**31 დეკემბერი 2021**
ძირითადი საშუალებები	13	131,878
აქტივები გამოყენების უფლებით	-	393
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	-	551
არამატერიალური აქტივები	-	83
წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი	-	13,278
შეზღუდული ფულადი სახსრები	5	12
გრძელვადიანი აქტივები	**18**	**146,195**
მარაგები	72	33
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა	1,847	1,799
სხვა მოთხოვნები	790	790
გადახდილი ავანსები	507	49
გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები	16,951	16,985
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,633	3,243
მოკლევადიანი აქტივები	**21,800**	**22,899**
სულ აქტივები	**21,818**	**169,094**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	211,542	207,126
წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი	1,587	-
დაგროვილი ზარალები	(192,521)	(38,824)
სულ კაპიტალი	**20,608**	**168,302**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	208	271
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**208**	**271**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	76	138
სხვა ვალდებულებები	926	383
მოკლევადიანი ვალდებულებები	**1,002**	**521**
სულ ვალდებულებები	**1,210**	**792**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**21,818**	**169,094**

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

000 აშშ დოლარი	2022	2021
პერსონალის ხარჯები	(1,112)	(696)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,005)	(3,460)
გაუფასურების ზარალი გრძელვადიან აქტივებზე	(148,688)	-
გაუფასურების ზარალი სხვა მოთხოვნებზე	-	(789)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები	**(153,805)**	**(4,945)**
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	129	73
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(21)	(104)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**(153,697)**	**(4,976)**
მოგების გადასახადი	-	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	**(153,697)**	**(4,976)**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საქციო კაპიტალი	წინასწარ გადახდილი საქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ კაპიტალი
000 აშშ დოლარი				
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	193,715	6,898	(33,848)	166,765
წლის ზარალი	-	-	(4,976)	(4,976)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(4,976)	(4,976)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
წინასწარ გადახდილი საქციო კაპიტალი	6,898	(6,898)	-	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	6,513	-	-	6,513
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**207,126**	**-**	(38,824)	**168,302**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	207,126	-	(38,824)	168,302
წლის ზარალი	-	-	(153,697)	(153,697)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	**-**	**-**	**(153,697)**	**(153,697)**
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან	-	-	-	-
წინასწარ გადახდილი საქციო კაპიტალი	-	1,587	-	1,587
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	4,416	-	-	4,416
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**211,542**	**1,587**	(192,521)	**20,608**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

000 აშშ დოლარი	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მომწოდებლებისა და დასაქმებულებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(5,202)	(3,221)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5,202)	(3,221)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,222)	(1,326)
ფინანსური ხარჯებისთვის გადახდილი ავანსები	(1,175)	(169)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(2,397)**	**(1,495)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან		
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსულობები	6,004	6,513
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**6,004**	**6,513**
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	**(1,595)**	**1,797**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	3,243	1,462
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(15)	(16)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	**1,633**	**3,243**

სს „ნენსკრა ჰიდრო“

2022 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ხოჯით კაპანაძე

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ნენსკრა ჰიდროს“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ნენსკრა ჰიდროს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე ვამახვილებთ, რომელშიც მითითებულია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ ვერ შეძლო „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ და „საინჟინრო მომსახურება/შესყიდვა/მშენებლობის ("EPC") ხელშეკრულების“ განახლება და ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის აუცილებელი დაფინანსების მოპოვება. აღნიშნული მოვლენები და გარემოებები, მე-2 შენიშვნაში აღწერილ სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

სხვა საკითხი

წინამდებარე ფინანსურ ანგრიშგებაში აშშ დოლარში წარმოდგენილი ოდენობები, რომლებიც მხოლოდ მომხმარებლების მოხერხებულობისთვის არის წარმოდგენილი (დანართში აღწერილის შესაბამისად), არ წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნაწილს და არ არის აუდიტირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
26 ოქტომბერი 2023 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	45	339,935
აქტივები გამოყენების უფლებით		-	1,202
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	7	-	1,620
არამატერიალური აქტივები		-	219
წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი	8	-	34,240
შეზღუდული ფულადი სახსრები		20	41
გრძელვადიანი აქტივები		**65**	**377,257**
მარაგები		206	97
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა	12	5,424	5,573
სხვა მოთხოვნები	9	2,117	2,117
გადახდილი ავანსები		1,444	152
გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები	11	44,958	45,042
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	4,411	10,045
მოკლევადიანი აქტივები		**58,560**	**63,026**
სულ აქტივები		**58,625**	**440,283**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	549,315	536,920
წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი	13	4,404	-
დაგროვილი ზარალები	13	(498,422)	(99,099)
სულ კაპიტალი		**55,297**	**437,821**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		553	840
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**553**	**840**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		213	428
სხვა ვალდებულებები		2,562	1,194
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,775**	**1,622**
სულ ვალდებულებები		**3,328**	**2,462**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**58,625**	**440,283**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 -47 გვერდებზე.

ლოგო კანტ

'000 ლარი	შენიშვნები	2022	2021
პერსონალის ხარჯები	5	(3,205)	(2,265)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(11,531)	(10,943)
გაუფასურების ზარალი სხვა მოთხოვნებზე	9	-	(2,117)
გაუფასურების ზარალი ძირითადი საშუალებებზე	7	(344,200)	-
გაუფასურების ზარალი გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებზე	7	(1,590)	-
გაუფასურების ზარალი წინასწარ გადახდილ ფინანსურ ხარჯებზე	8	(37,715)	-
გაუფასურების ზარალი არამატერიალურ აქტივებზე		(204)	-
გაუფასურების ზარალი გამოყენების უფლებით აქტივებზე		(806)	-
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**(399,251)**	**(15,325)**
წმინდა ფინანსური შემოსავალი		65	10
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		(137)	(132)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(399,323)**	**(15,447)**
მოგების გადასახადი		-	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(399,323)**	**(15,447)**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 26 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

Kyoungun Bae
აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

Yoonho Shin
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 -47 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს		494,350	22,145	(83,652)	432,843
წლის ზარალი		-	-	(15,447)	(15,447)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-		**(15,447)**	**(15,447)**
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან					
წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი	13	22,145	(22,145)	-	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	13	20,425	-	-	20,425
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		**536,920**	-	(99,099)	**437,821**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს		536,920	-	(99,099)	437,821
წლის ზარალი		-	-	(399,323)	(399,323)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	-	**(399,323)**	**(399,323)**
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან					
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	13	12,395	-	-	12,395
წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი		-	4,404	-	4,404
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		**549,315**	**4,404**	(498,422)	**55,297**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10-47 გვერდებზე.

ოქრო კაპანაძე

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მომწოდებლებისა და დასაქმებულებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(15,054)	(10,025)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(15,054)	(10,025)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,588)	(4,298)
ფინანსური ხარჯებისთვის გადახდილი ავანსები		(3,383)	(813)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,971)**	(5,111)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსულობები	13	12,395	20,425
სააქციო კაპიტალის წინასწარი გადახდებიდან მიღებული შემოსულობები		4,404	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**16,799**	**20,425**
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**(5,226)**	**5,289**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		10,045	4,791
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(408)	(35)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	10	**4,411**	**10,045**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10-47 გვერდებზე.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშვალდებული საწარმო	11
2.	აღრიცხვის საფუძველი	13
3.	სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	16
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	17
5.	პერსონალის ხარჯები	18
6.	სხვა საოპერაციო ხარჯები	18
7.	ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	19
8.	წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი	22
9.	სხვა მოთხოვნები	22
10.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23
11.	გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები	23
12.	წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა	23
13.	კაპიტალი და რეზერვები	23
14.	კაპიტალის მართვა	24
15.	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	24
16.	ვალდებულებები	30
17.	პირობითი ვალდებულებები	30
18.	დაკავშირებული მხარეები	34
19.	შეფასების საფუძველი	34
20.	მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკები	35
26.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	47
27.	საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	47

1. ანგარიშვალდებული საწარმო

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ და ომმა უკრაინაში 2022 წელს კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთნიშნა ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „ნენსკრა ჰიდრო“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405112220. კომპანია დაარსდა 2015 წლის 5 აგვისტოს პროექტის განხორციელების მიზნით, რომელიც მოიცავს სვანეთში, (საქართველო), მდინარე ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტირებას, განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობას, ფლობას და ტექნიკურ მხარდაჭერას (შემდგომში „პროექტი“). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი ჭავჭავაძის გამზირი № 34. 2021 წელს, კომპანიას საშუალოდ 18 დასაქმებული ჰყავდა (2020: 42 დასაქმებული).

კომპანიის უმრავლესობის აქციების (92.6%) მფლობელია „კორეის წყლის რესურსების კორპორაცია“ (შემდგომში “K-water”) რომელიც დაარსდა და ოპერირებს კორეის რესპუბლიკაში. K-water დაარსებულია და საბოლოოდ მას აკონტროლებს კორეის რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც აქვს უფლებამოსილება საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის მართოს K-water-ის ოპერაციები. კომპანიის უმცირესობის აქციების (7.4%) მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“ (შემდგომში „ფონდი“), საქართველოში დაარსებული და მოქმედი სახელმწიფო კომპანია. ფონდი კომპანიის აქციონერი 2018 წელს გახდა.

კომპანიის აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული კომპანიის წესდება შემუშავებულია აქციონერთა ხელშეკრულების (ქვემოთ განსაზღვრული) შესაბამისად. წესდების თანახმად, კომპანიის მმართველი ორგანოებია აღმასრულებელი კომიტეტი, სამეთვალყურეო საბჭო და აქციონერთა საერთო კრება. წესდების თანახმად, აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არიან: აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი, ტექნიკური დირექტორი და ოპერაციული დირექტორი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო შედგება 6 წევრისაგან, საიდანაც ოთხი წევრი წარდგენილია K-water-ის მიერ, ხოლო ორი წევრი ფონდის მიერ.

კომპანიის დაფინანსების უმეტესი ნაწილი K-water-სგან არის მიღებული. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია K-water-ზე. ამასთანავე, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული K-water-ის მოთხოვნებთან. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად განხილულია მე-18 შენიშვნაში.

კომპანია ახორციელებს პროექტს 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული შემდეგი ხელშეკრულებების ფარგლებში (2017 წლის შესწორებული ვერსიის გამოყენებით):

i. კომპანიის, საქართველოს მთავრობის, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის („ესკო“), სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის („სსე“) და ფონდის მიერ და მათ შორის დადებული იმპლემენტაციის ხელშეკრულება („იმპლემენტაციის ხელშეკრულება“). „იმპლემენტაციის ხელშეკრულება“ არეგულირებს და მართავს პროექტის კომერციული, ფინანსური, იურიდიული და საგადასახადო საკითხების (და არა მხოლოდ) ყველა ძირითად ასპექტს; და კომპანიის აქციონერის მიერ აქციების საქართველოს მთავრობისთვის გადაცემას „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ვადის ამოწურვის თარიღისთვის, რაც არის სამშენებლო პერიოდს დამატებული საოპერაციო პერიოდის 36 წელი.

ii. კომპანიას და ესკოს (შემსყიდველი, როგორც ეს განმარტებულია „იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში“) მიერ და მათ შორის დადებული „სიმძლავრის შეძენის ხელშეკრულება“ (“PPA”) არეგულირებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს შემსყიდველსა და კომპანიას შორის და არეგულირებს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანობის დაწყების შემდეგ, „ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის“ (შემდგომში „ჰესი“) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდებასთან.

iii. PPA საკრედიტო მხარდაჭერის ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიისა და ფონდის მიერ და მათ შორის, და არეგულირებს ურთიერთობებს მხარეთა შორის, ფონდის მიერ, „სიმძლავრის შეძენის ხელშეკრულების“ ფარგლებში, შემსყიდველის გადახდის ვალდებულებების გარანტირებასთან დაკავშირებით.

iv. ფუთ და ქოლ ოფციონის ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიის, საქართველოს მთავრობის, K-water-ის და ფონდის მიერ და მათ შორის და არეგულირებს მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს „იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ნაადრევი შეწყვეტის და/ან ვადის გასვლის შემთხვევაში; და

v. აქციონერთა ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიის, K-water-ის და ფონდის მიერ და მათ შორის („აქციონერთა ხელშეკრულება“) და არეგულირებს კომპანიის აქციონერთა სტრუქტურასთან და ფონდის მიერ კომპანიის აქციების პოტენციურ გამოწერასთან დაკავშირებულ საკითხებს, კომპანიის კაპიტალში დაახლოებით 16,740 აშშ დოლარის (ან ეკვივალენტური ოდენობა ლარში) ოდენობით ნატურალური ფორმით განხორციელებული შენატანის და დაახლოებით 6,260 ათასი აშშ დოლარის (ან ეკვივალენტური ოდენობა ლარში) ოდენობით ფულადი სახსრების შენატანის საშუალებით.

მოსალოდნელია, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულება და შესაბამისი ზემოაღნიშნული საპროექტო ხელშეკრულებები დაკორექტირდება საოპერაციო პერიოდის 46 წლამდე გაზრდის ცვლილებების და ზოგიერთი სხვა პირობების შეტანით, სავარაუდოდ არაუგვიანეს 2024 წლისა (იხ. შენიშვნა 2 (b)).

2018 წლის სექტემბერში, მესამე მხარის კონტრაქტორთან - „Salini Impregilo S.p.A“-თან (შემდგომში „სალინი“, ან „კონტრაქტორი“) 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული საინჟინრო/შესყიდვების/მშენებლობის ხელშეკრულება („EPC“) ჰიდროელექტროსადგურის პროექტირებასთან, შესყიდვასთან, მშენებლობასთან, ტესტირებასთან, ექსპლუატაციაში გაშვებასთან და დასრულებასთან დაკავშირებით, იქნა შეწყვეტილი მხარეების მიერ დადებული „შეწყვეტის შესახებ აქტის“ მიხედვით. „შეწყვეტის შესახებ აქტის“ მიხედვით, მხარეები ერთობლივად შეთანხმდნენ EPC ხელშეკრულების შეწყვეტასა და შეწყვეტის ვადებსა და პირობებზე, რაც სხვა პირობებთან ერთად, შემდეგ ძირითად პირობებს მოიცავდა: (i) კომპანიამ იკისრა 27,488 ათასი აშშ დოლარის ოდენობით შეწყვეტის ხარჯების გადახდა, საიდანაც 19,188 ათასი აშშ დოლარი გადახდილი იქნა ფულადი სახსრებით, ხოლო დანარჩენი იქნა ურთიერთგადაფარული კომპანიის მიერ EPC ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ წინასწარ გადახდასთან; (ii) კონტრაქტორის მიერ EPC ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დადებული ქვეკონტრაქტების განახლება; (iii) კონტრაქტორის მიერ, EPC ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მიზნებისთვის შესყიდული გარკვეული აქტივების გადაცემა კომპანიისთვის. მსგავსი აქტივები აუცილებელია პროექტის სამშენებლო სამუშაოებისთვის, და მაშასადამე, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ახალ EPC კონტრაქტორზე გადაცემას/გაყიდვას ექვემდებარება.

EPC ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი პროექტისთვის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, რომელიც მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზეა (იხ. შენიშვნა 2(b)). მეორე კორექტირებული და განახლებული იმპლემენტაციის ხელშეკრულების დასრულება 2024 წელს იგეგმება, შერჩეულ პრეტენდენტთან („შერჩეული პრეტენდენტი“) ახალი EPC ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად.

ამავდროულად, პროექტის დროულად განხორციელებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შემდგომი გადადების თავიდან ასაცილებლად, კომპანიამ გააფორმა ქვეკონტრაქტები შპს „კავკასენერგოსთან“ და შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ ერთიანი ხელშეკრულების ფასებით 8,761 ათასი აშშ დოლარი და 37,288 ათასი აშშ დოლარი, შესაბამისად. შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ გაფორმებული ქვეკონტრაქტები მოგვიანებით შეწყდა, 2020 წელს და 2021 წლის დასაწყისში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ ვერ შეიყვანა პროექტი ექსპლუატაციაში, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით.

ხელმძღვანელობა პროექტის დაწყებას 2020 წელს ელოდებოდა. თუმცა, 2018 წელს EPC ხელშეკრულების შეწყვეტისა და 2020 წელს COVID-19 პანდემიის გამო, პროექტის დასრულება 2025 წლისთვის გადაიდო და მოსალოდნელია, რომ კვლავ 2028 წლისთვის გადაიდება.

EPC ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. ახალი EPC კონტრაქტორის შერჩევის სატენდერო პროცესი 2018 წლის ნოემბერში დაიწყო, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების (პოტენციური კრედიტორები, „კრედიტორთა ჯგუფი“) საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ახალი EPC ხელშეკრულების დასრულებასა და აღსრულებას 2020 წლის განმავლობაში მოელოდა, რაც შემდგომ 2022 წლამდე გადაიდო, თუმცა მოლაპარაკებები შერჩეულ პრეტენდენტთან და კრედიტორთა ჯგუფთან, შეწყდა, შემდეგი მიზეზების გამო:

COVID-19-ის პანდემიამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. აღნიშნულმა, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიაზე, ახალი EPC ხელშეკრულების აღსრულების გადადების კუთხით და ასევე, ფინანსური დახურვის გადადება გამოიწვია. დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან ახალი EPC ხელშეკრულების აღსრულებასა და იმპლემენტაციის ხელშეკრულების კორექტირებაზე არის დამოკიდებული.

2023 წლის განმავლობაში, EPC ხელშეკრულების აღსრულების გადადებისა და ეკონომიკურ გარემოში ცვლილებების გამო, შერჩეულმა პრეტენდენტმა EPC ხელშეკრულების თავდაპირველად განსაზღვრული ფასის გაზრდა მოითხოვა.

ამასთანავე, EPC ხელშეკრულების შესასრულებლად, კომპანიას და საქართველოს მთავრობას იმპლემენტაციის ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინათ. 2019 წლის 28 იანვარს, კომპანიამ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, მხარეებმა დაადასტურეს, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულების ვადები და სხვა ძირითადი პირობები შეიძლება იქნეს გადახედილი და კორექტირებული განახლებული პროექტის ვადების მიხედვით, მათ შორის პროექტის მშენებლობის ახალი გრაფიკი, ახალი EPC ხელშეკრულების მიხედვით. თუმცა, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ დაკორექტირებულა.

იმის გათვალისწინებით, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ შესრულებულა, საქართველოს მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკებები კომპანიასთან ადრე შეთანხმებული ელექტროენერგიის ტარიფის/ტარიფის დაახლოებით 13%-ით შემცირებასთან დაკავშირებით. 2022 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა კომპანიას თავდაპირველად შეთანხმებული ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება. ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებამ არსებითი უარყოფითი გავლენა იქონია პროექტის მომგებიანობაზე და ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი გაუფასურების ინდიკატორს წარმოადგენდა. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, კომპანიამ აღიარა სრული გაუფასურება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში - პროექტთან დაკავშირებული გრძელვადიანი აქტივები, იხ. ასევე შენიშვნა 7.

„ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ (“GCC”) მიმდინარე სასამართლო დავამ ასევე ხელი შეუწყო ზემოაღნიშნულ შეფერხებებს. როგორც 17 (b) შენიშვნაშია განხილული, 2021 წლის 23 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ („სასამართლო“) გამოსცა ახალი შემზღუდავი ბრძანება („ბრძანება“), როგორც დროებითი ღონისძიება კომპანიის წინააღმდეგ. ბრძანების მიხედვით, კომპანიას ჩამოერთვა მის საკუთრებაში არსებული „გვირაბის საბურღი მანქანები“ („TBM“) და სასამართლომ დააწესა შეზღუდვები მათ გამოყენებაზე. გვირაბის საბურღი მანქანები პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენს. გარდა ამისა, ბრძანება უზღუდავს კომპანიას ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმებას ნებისმიერ მესამე მხარესთან, რომელიც სერპანტინის გზის სამშენებლო სამუშაოებს ეხება.

ხელმძღვანელობამ შეაფასა ზემოაღნიშნული მოვლენები და გარემოებები და დაასკვნა, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენონ კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აღნიშნული დასკვნის გამოტანა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან განსჯასა და დაშვებებს მოიცავდა: (ა) შერჩეულ პრეტენდენტთან EPC ხელშეკრულების გაფორმება და შესრულება; (ბ) ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან მიმდინარე დავის და გვირაბის საბურღი მანქანების ჩამორთმევის გათვალისწინებით, კომპანიის უნარი განაგრძოს სამშენებლო სამუშაოები მისი მოძრავი ქონების გამოყენებით; (გ) საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული იმპლემენტაციის ხელშეკრულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს ვადებს, ელექტროენერგიის ტარიფს და სხვა ძირითად ასპექტებს; და (დ) კომპანიის უნარი განაგრძოს პროექტის მომავალი დაფინანსების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ხელმძღვანელობამ შეაფასა ზემოაღნიშნულ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების ხარისხი და საქართველოს მთავრობის, კომპანიის და მშობელი კომპანიის (“K-water”) მიერ მიღებული შემამსუბუქებელი ზომების გავლენის გათვალისწინებით (ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად) ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანია შეძლებს EPC ხელშეკრულების გაფორმებას შერჩეულ პრეტენდენტთან, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებას და მას ექნება წვდომა სათანადო ფინანსურ და სხვა რესურსებზე რათა გააგრძელოს მუშაობა, სულ მცირე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში:

- 2021 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს მთავრობამ COVID-19 პანდემიის გამო დაწესებული ძირითადი შეზღუდვები მოხსნა. შედეგად, ხელმძღვანელობამ განაახლა აქტიური მოლაპარაკებები შერჩეულ პრეტენდენტთან. ეკონომიკური მიზეზების გამო, შერჩეულმა პრეტენდენტმა EPC ხელშეკრულების ფასის გაზრდა მოითხოვა. გაზრდილი ფასი არ იყო მისაღები კომპანიისთვის, შესაბამისად კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. ახალი EPC კონტრაქტორის შერჩევის სატენდერო პროცესი 2023 წლის განმავლობაში დაიწყო, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების (პოტენციური კრედიტორები, „კრედიტორთა ჯგუფი“) საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. ტენდერის შედეგად, კომპანიამ შეარჩია ახალი „შერჩეული პრეტენდენტი“. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ შესაბამისი ახალი EPC ხელშეკრულება შესრულდებოდა და ძირითადი სამშენებლო სამუშაოები 2024 წლის განმავლობაში დაიწყებოდა. ამავდროულად, კომპანია აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს თავის კრედიტორთა ჯგუფთან, ანუ საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან, დაფინანსების პირობებზე. იმის გათვალისწინებით, რომ დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან შერჩეულ პრეტენდენტთან EPC ხელშეკრულების შესრულებაზე არის დამოკიდებული, ფინანსური დახურვა ასევე მოსალოდნელია ახალი EPC ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

- როგორც შენიშვნა 17(b)-ში არის წარმოდგენილი, 2022 წლის 24 ოქტომბერს, კომპანიამ საჩივარი შეიტანა საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟში, რომლითაც ითხოვს დადგინდეს, რომ ქართულმა სამშენებლო კონსორციუმმა დაარღვია შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმებები საქართველოში სასამართლო წარმოების დაწყებით. 2023 წლის 8 სექტემბერს, არბიტრაჟმა („ტრიბუნალმა“) გამოსცა საბოლოო გადაწყვეტილება არბიტრაჟთან დაკავშირებით კომპანიის სასარგებლოდ. ტრიბუნალმა დაადასტურა, რომ კომპანიამ კანონიერად შეწყვიტა ხელშეკრულებები ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან და რომ ქართულმა სამშენებლო კონსორციუმმა დაარღვია საარბიტრაჟო შეთანხმება საქართველოს სასამართლოებში გარკვეული საჩივრების შეტანით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ აკრძალვის ბრძანება მოიხსნება და კომპანიას არ შეექმნება დაბრკოლებები მისი ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში, ანუ ჰესის მშენებლობაში.

- 2019 წლის 28 იანვარს, კომპანიამ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, მხარეებმა დაადასტურეს, რომ იმპლემენტაციის ხელშეკრულების ვადები და სხვა ძირითადი პირობები შეიძლება იქნეს გადახედილი და კორექტირებული განახლებული პროექტის ვადების მიხედვით, მათ შორის პროექტის მშენებლობის ახალი გრაფიკი, ახალი EPC ხელშეკრულების მიხედვით. ამასთანავე, 2022 წლის ბოლოს წარმოებული მოლაპარაკებების საფუძველზე, 2023 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად გამოთქვა მზადყოფნა გააფორმოს დამატებითი ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები ძირითად კომერციულ პირობებზე შეთანხმდებიან. შედეგად, 2023 წლის 15 მაისს, კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ გააფორმეს დამატებითი ხელშეკრულება, იმპლემენტაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. დამატებითი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ ელექტროენერგიის ახალ ტარიფზე და უმოკლეს ვადებში, გადახედილი და განახლებული იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყებაზე. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ დაკორექტირებულა. თუმცა, კომპანია საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებების საბოლოო ეტაპზეა ძირითადი პირობების განახლებასთან დაკავშირებით, მათ შორის პროექტის ვადების განახლება (ფინანსური დახურვის და FNTP-ს ვადების გახანგრძლივება, განახლებული მშენებლობის გრაფიკის ჩათლით). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთავრობა დათანხმდება კომპანიის მიერ შეთავაზებულ ვადების გახანგრძლივებას და შეასრულებს გადახედილ და განახლებულ იმპლემენტაციის ხელშეკრულებას.

- კომპანიის უმრავლესობის აქციონერმა, K-water-მა დაადასტურა მისი განზრახვა, განაგრძოს კომპანიისთვის ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერის გაწევა, როგორც ეს აუცილებელია, რათა კომპანიამ შეასრულოს პროექტი და ჰქონდეს საშუალება მოახდინოს მისი აქტივების რეალიზაცია და შეასრულოს მისი ვალდებულებები, საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პირობებში.

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. თუმცა, გამოვლენილი მოვლენები და გარემოებები მიანიშნებენ, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის მიხედვით და შესაბამისად, განაგრძოს თავისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების შესრულება ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არანაირ კორექტირებას, რომელიც „მომზადების საფუძვლის“ შეუსაბამობით იქნებოდა გამოწვეული.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 2(b) - ფუნქციონირებადი საწარმო: არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ; და
- შენიშვნა 4 (a) - წინასაწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, მოცემულია შენიშვნებში:

- შენიშვნა 7 (c) - ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურებაზე ტესტირება; და
- შენიშვნა 17 (b) - პირობითი ვალდებულებები.

(a) წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები

ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ პირდაპირ მიკუთვნებადი და დამატებითი საფასური, რომელიც გადახდილია იურიდიული და ფინანსური მრჩეველებისთვის საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან თანხების მოზიდვაში დახმარების გაწევისთვის, პირდაპირ არის დაკავშირებული და იზრდება დაფინანსების მოპოვებასთან ერთად და კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯების სახით. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის მიმდინარე განზრახვები, ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან რეგულარული კომუნიკაციების შედეგები და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, მიიჩნია, რომ აქტიური მოლაპარაკებები ძირითად საერთაშორისო დაწესებულებებთან იქნებოდა წარმატებული და კომპანია 34,240 ათასი ლარის ოდენობით წინასაწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სრულად ანაზღაურებას შეძლებდა.

თუმცა, 2022 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობამ გაუფასურების ინდიკატორები გამოავლინა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, კომპანიამ აღიარა სრული გაუფასურება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში (იხ. ასევე შენიშვნა 7). შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ აღიარა 37,715 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი წინასწარ გადახდილ ფინანსურ ხარჯზე.

(b) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებების შეფასებასთან დაკავშირებით, კომპანია მშობელი კომპანიის მიერ დადგენილ კონტროლის სტრუქტურას იყენებს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 15 - ფინანსური ინსტრუმენტები, სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები.

5. პერსონალის ხარჯები

'000 ლარი	2022	2021
ხელფასები და გასამრჯელოები	3,170	2,240
სხვა პერსონალის ხარჯები	35	25
პერსონალის ხარჯები	**3,205**	**2,265**

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2022	2021
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	5,446	5,358
პროფესიული მომსახურება	2,994	2,991
ცვეთა და ამორტიზაცია	1,209	602
გასაყიდად ფლობილი აქტივების შენახვის და დაზღვევის ხარჯები	1,186	1,376
ავტომობილის მომსახურების ხარჯი	291	105
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები	160	71
გარემოსდაცვითი და სოციალური ხარჯები	19	114
საიჯარო ხარჯები	17	85
სხვა	209	241
სხვა საოპერაციო ხარჯები	**11,531**	**10,943**

7. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

	მიწები	დაუმთავრებელი მშენებლობა (CIP) *	სამშენებლო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ბანაკები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ	გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები
თვითღირებულება								
ნაშთი								
2021 წლის 1 იანვარს	4,561	325,299	532	533	7,266	1,655	339,846	3,438
შესყიდვები	5	5,062	-	27	7	-	5,101	52
გადაცემა დაუმთავრებელ მშენებლობაზე	-	1,945	-	-	-	-	1,945	(43)
გასვლები / ჩამოწერები	-	-	-	(88)	-	(1,554)	(1,642)	(1,827)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**4,566**	**332,306**	**532**	**472**	**7,273**	**101**	**345,250**	**1,620**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	4,566	332,306	532	472	7,273	101	345,250	1,620
შესყიდვები	4	5,828	-	2	1	-	5,835	392
გადაცემა წინასწარ გადახდილ ფინანსურ ხარჯზე	-	-	-	-	-	-	-	(422)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**4,570**	**338,134**	**532**	**474**	**7,274**	**101**	**351,085**	**1,590**
ცვეთა და გაუფასურების ზარალები								
1 იანვარი 2021	-	-	396	371	2,896	745	4,408	-
წლის ცვეთა	-	-	91	72	1,455	207	1,825	-
გასვლები	-	-	-	(67)	-	(851)	(918)	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	487	**376**	**4,351**	**101**	**5,315**	**-**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	-	487	**376**	**4,351**	**101**	**5,315**	-
წლის ცვეთა	-	-	17	53	1,455	-	1,525	-
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურების ზარალები	4,570	338,134	28	-	1,468	-	344,200	1,590
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**4,570**	**338,134**	**532**	**429**	**7,274**	**101**	**351,040**	**1,590**
საბალანსო ღირებულებები								
2021 წლის 31 დეკემბერს	**4,566**	**332,306**	**45**	**96**	**2,922**	-	**339,935**	**1,620**
2022 წლის 31 დეკემბერს	-	-	-	**45**	-	-	**45**	-

დაუმთავრებელი მშენებლობა - მოიცავს პროექტის მშენებლობისთვის გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს, რაც ძირითადად საინჟინრო კვლევებზე, ზოგად საპროექტო სამუშაოებზე და მისასვლელი გზების განახლებაზე გაწეული პროფესიული საინჟინრო ხარჯებისგან შედგება. დაუმთავრებელი მშენებლობა ასევე მოიცავს იურიდიული, გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურების და სხვა ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი არ მოიცავს კრედიტორთა ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად მიღებულ გარემოსდაცვითი და ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებს, რომლებიც აღრიცხულია წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სახით და რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული სესხის თავდაპირველი შეფასებისას მისი მიღების დროს (იხ. ასევე შენიშვნა 8).

მიწა - იმპლემენტაციის ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ უნდა შეიძინოს და გადასცეს პროექტისთვის აუცილებელ ყველა მიწის ნაკვეთზე მშენებლობის კანონიერი საკუთრება და/ან უფლება („აუცილებელი მიწის ნაკვეთები“). საჯარო მიწებისთვის, კომპანია საქართველოს მთავრობას გადაუხდის 1 აშშ დოლარს (ყველა გადასახადის, რეგისტრაციისა და სანოტარო მოსაკრებლის და სხვა ხარჯების ჩათვლით), ხოლო კერძო მიწებისთვის კომპანიამ საქართველოს მთავრობის მიერ შეძენისას ფაქტობრივად გაწეული ხარჯები უნდა აანაზღაუროს.

(a) ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურება - პროექტთან დაკავშირებული გრძელვადიანი აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ კომპანიის არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე დაბალია ან ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება. გაუფასურებაზე ტესტირების მიზნებისთვის, კომპანია მის ყველა გრძელვადიან, არაფინანსურ აქტივს (კერძოდ, ძირითადი საშუალებები, წინასწარ გადახდილ ფინანსური ხარჯები, გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით) ერთ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ანაწილებს.

2022 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა კომპანიას დაახლოებით 13%-ით შეემცირებინა ელექტროენერგიის ტარიფი იმ ტარიფთან შედარებით, რომელიც იყო ყველაზე დიდი და რომელიც კომპანიამ გაითვალისწინა საბაზისო სცენარში (2015 წლის 31 დეკემბერს დადებულ იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში (შესწორებული და გადახედილი 2017 წელს) განსაზღვრულის შესაბამისად). ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებამ არსებითი უარყოფითი გავლენა იქონია პროექტის მომგებიანობაზე და ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი გაუფასურების ინდიკატორს წარმოადგენდა. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება დაფუძნებული იყო მის გამოყენების ღირებულებაზე, რაც შეადგენდა უარყოფით 60,845 ათას ლარს (22,500 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტური), რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ჰესის მიერ გენერირებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. 384,515 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებაზე (ნულის ტოლი) დიდი ოდენობით განისაზღვრა და 384,515 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდა როგორც „გაუფასურება“ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯები დაახლოებით ნულის ტოლი ოდენობით განისაზღვრა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არ არის მოსალოდნელი, რომ არსებული აქტივები (რაც ძირითადად პროექტზე მიკუთვნებად დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებულ ხარჯებს წარმოადგენს), ცალ-ცალკე ან სხვა გრძელვადიან აქტივებთან ერთად, შექმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ის მოვლენები და გარემოებები, რომლებმაც გაუფასურების აღიარება გამოიწვია, ძირითადად ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებას და გენერირების პირველი პერიოდის გადადებას უკავშირდება, როგორც აღნიშნულია „დამატებითი ხელშეკრულების“ დრაფტის პირობებში, რომლებიც 2022 წელს იქნა შეთანხმებული (იხ. ასევე შენიშვნა 2 (a).

'000 ლარი	საბალანსო ღირებულებები 2022 წლის 31 დეკემბერს, უშუალოდ გაუფასურებამდე
ძირითადი საშუალებები	344,200
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	1,590
წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი	37,715
არამატერიალური აქტივები	204
აქტივები გამოყენების უფლებით	806
ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება	**384,515**

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის შემდეგი ძირითადი დაშვებები გამოიყენება:

- ხდება გადასახადების შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირება 54-წლიანი საპროგნოზო პერიოდისთვის და კეთდება დაშვება, რომ ჰესი თავის საქმიანობას 2028 წლის ივლისში დაიწყებს.
- ელექტროენერგიის წარმოების პროგნოზები დაფუძნებული იყო კომპანიის ტექნიკური მრჩეველის მიერ მომზადებულ ტექნიკურ ანგარიშებზე, რომლებშიც მითითებული იყო ჯამური თვიური წარმოება და ჯამური თვიური ზარალები;
- პროგნოზირებული საწყისი ელექტროენერგიის ტარიფი ტოლი იყო ელექტროენეგიის ახალი ტარიფისა, რომელზეც მოლაპარაკებები წარმოებდა საქართველოს მთავრობასთან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (და რომელიც მოგვიანებით, 2023 წლის მაისში, ფორმალურად იქნა შეთანხმებული „დამატებითი ხელშეკრულების“ საშუალებით, შენიშვნა 2(b)-ში წარმოდგენილის შესაბამისად). გაუფასურების მოდელი ვარაუდობს წლიური ზრდის 3%-იან განაკვეთს, პირველი სრული გენეირირების პერიოდიდან 15 წლის განმავლობაში;
- გადასახადების შემდეგ დისკონტირების 8.88%-იანი განაკვეთი გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულადი ნაკადების მოთხოვნილ ამონაგების განაკვეთს მსგავს მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების ინვესტირებულ კაპიტალზე და აშშ დოლარშია დენომინირებული.
- კაპიტალური დანახარჯები წარმოადგენს დამატებით კაპიტალურ დანახარჯებს 2023-2028 წლებში, ხოლო ტექნიკური მომსახურების კაპიტალური დანახარჯები ხარჯად აღიარდება მთლიანი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში, და ძირითადი კაპიტალური დანახარჯები კაპიტალიზირდება 2053 წელს. გარდა ამისა, დამატებითი ძირითადი კაპიტალური დანახარჯები ტერმინალურ პერიოდში მიჩნეულია, როგორც ტერმინალური ღირებულების კორექტირება; და
- ტერმინალური ზრდის განაკვეთი 2%-ით შეფასდა.

ძირითადი დაშვებები, რომელთა მიმართაც გაუფასურების მაჩვენებლის ანალიზი არის ყველაზე მგრძნობიარე, არის:

- დისკონტირების განაკვეთი - დისკონტირების განაკვეთის 1.2%-იანი საბაზისო პუნქტით შემცირება, ანაზღაურებადი ღირებულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებასთან გათანაბრებას გამოიწვევდა. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, უცვლელი დარჩება.
- ტარიფი - გადახედილი ელექტროენერგიის ტარიფის 22%-იანი ზრდა, ანაზღაურებადი ღირებულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებასთან გათანაბრებას გამოიწვევდა. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, უცვლელი დარჩება.

8. წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი

'000 ლარი	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	**34,240**	**33,349**
აღიარებული პერიოდის განმავლობაში	3,475	891
წინასწარ გადახდილი ფინანსურ ხარჯების გაუფასურება	(37,715)	-
ნაშთი წლის ბოლოს	**-**	**34,240**

კომპანიამ დაიქირავა იურიდიული, ფინანსური და ტექნიკური მრჩეველები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან დაფინანსების მოზიდვაში დახმარების გაწევის მიზნით. აღნიშნული საფასური წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული დაფინანსების მოპოვებასთან და აღიარებულია წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სახით. დაგეგმილი იყო წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სესხების თავდაპირველი შეფასებისას გათვალისწინება, მაგრამ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები სრულად იყო გაუფასურებული, იხ. ასევე შენიშვნა 4 (a).

9. სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2022	2021
სხვა მოთხოვნები	23,534	23,534
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(21,417)	(21,417)
	2,117	**2,117**

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, სხვა მოთხოვნების ნაშთი მოიცავს 2,117 ათასი ლარის ოდენობით, „Salini Impregili S.p.A“-ს მიმართ არსებულ მოთხოვნებს, გვირაბების საბურღი მანქანების შეძენისთვის (31 დეკემბერი 2021: 2,117 ათასი ლარი).

2021 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ სალინის მიმართ არსებული მოთხოვნა იყო გაუფასურებული საკრედიტო რისკით და 2,117 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარა. კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ რისკზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განხილულია 15(b) შენიშვნაში.

2020 წლის განმავლობაში, „ქართული სამშენებლო კონსორციუმისთვის“ გადახდილი ავანსები 22,054 ათასი ლარის ოდენობით, „გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსებიდან“ „სხვა მოთხოვნებში“ რეკლასიფიცირდა. ზემოაღნიშნული წინასწარი გადახდა ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან გაფორმებულ „გადაუდებელი სამუშაოები და დამხმარე სამუშაოების“ ხელშეკრულებებზე გადანაწილდა. თუმცა, კონტრაჰენტთან მიმდინარე სამართალწარმოების გათვალისწინებით (იხ. შენიშვნა 17(a)), ხელმძღვანელობა არ მოელის წინასწარი გადახდის ანაზღაურებას სამშენებლო მომსახურების მიღების გზით. 22,054 ლარის ოდენობით მოთხოვნა ქართული სამშენებლო კონსორციუმის მიმართ იქნა ურთიერთგადაფარული კონტრაჰენტის მიმართ არსებულ 2,754 ათასი ლარის ოდენობით ვალდებულებასთან. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ „ქართული სამშენებლო კონსორციუმის“ მიმართ არსებული მოთხოვნა იყო გაუფასურებული საკრედიტო რისკით და აღიარა შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წმინდა დაქვემდებარების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე - 19,300 ათას ლარზე. კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ რისკზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განხილულია 15(b) შენიშვნაში.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2022	2021
საბანკო ნაშთები	4,411	10,045
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	**4,411**	**10,045**

კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ რისკზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განხილულია მე-15 შენიშვნაში.

11. გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები

44,958 ათასი ლარის (2020: 45,042 ათასი) ოდენობით გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები მოიცავს გვირაბების საბურღ მანქანებს, სამშენებლო ბანაკებს, მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებებს და მძიმე ტექნიკას, რომლებიც გადაცემულ იქნა კომპანიისთვის EPC კონტრაქტორის („Salini Impregili S.p.A“) მიერ, TSD-ს ფარგლებში, 2018 და 2019 წლებში. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ხელმძღვანელობას ზემოაღნიშნული აქტივების ახალი EPC კონტრაქტორისთვის გადაცემა აქვს განზრახული. თავდაპირველი, აქტივების გადაცემა მოსალოდნელი იყო 2020 წლის განმავლობაში, მაგრამ „შერჩეულ პრეტენდენტთან“ მოლაპარაკებების შეწყვეტის შედეგად (იხ. შენიშვნა 2 (b)), გასაყიდად ფლობილი აქტივების სახით აღიარებული აქტივების გაყიდვა არ მოხდა 2020 წელს. გაყიდვები კიდევ უფრო შეაფერხა იმ ფაქტმა, რომ „გვირაბის საბურღი მანქანების“ გამოყენება შეზღუდული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების მიხედვით (იხ. ასევე შენიშვნა 17(b)).

კომპანიის თავდაპირველად შემუშავებულ გაყიდვის გეგმის განხორციელების გადაწყვეტილების და 2022 წლის განმავლობაში აქტივების მდგომარეობაში, გამოყენებაში და გაყიდვაში არსებითი ცვლილებების არარსებობის გათვალისწინებით, გაყიდვის დასრულების პერიოდის გახანგრძლივებას ხელი არ შეუშლია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის „გასაყიდად ფლობილის“ კატეგორიაში კლასიფიკაციისთვის.

12. წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა

'000 ლარი	2022	2021
დამატებული ღირებულების გადასახადი, ანაზღაურებადი	22,920	25,599
სხვა საგადახადო ვალდებულებები	(17,496)	(20,026)
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა	**5,424**	**5,573**

13. კაპიტალი და რეზერვები

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, ათას ლარში (სხვაგვარად მითითებამდე)	ჩვეულებრივი აქციები	
	2022	2021
გამოშვებული 1 იანვარს	207,126	193,715
გამოშვებული აქციები	4,416	13,411
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	**211,542**	**207,126**
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება	1 აშშ დოლარი	1 აშშ დოლარი

ყველა ჩვეულებრივი აქცია ფასდება თანაბრად კომპანიის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

კომპანიის წესდების მიხედვით, კომპანიის მთლიანი ავტორიზებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 330,000 ათას აქციას, ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი აქციაზე. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, გამოშვებულ იქნა 211,542 ათასი აქცია (2021 წლის 31 დეკემბერი: 207,126). 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულად იქნა გადახდილი. ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ კომპანიის აქციონერთა საერთო კრებებზე ერთი აქციაზე ერთი ხმის უფლება.

2022 წელს, K-water-მა განახორციელა 6,003 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანი (16,799 ათასი ლარის ეკვივალენტური) კომპანიის კაპიტალში, 6,003 ათასი ჩვეულებრივი აქციის სანაცვლოდ. 2022 წლის 31 დეკემბერს, კომპანიამ დაარეგისტრირა 4,416 ათასი აქცია, ხოლო დარჩენილი 1,587 ათასი აქცია არ ყოფილა რეგისტრირებული 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, 4,404 ათასი ლარის ოდენობით ფულადი შენატანი იქნა აღიარებული როგორც წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი, კაპიტალში.

2021 წელს, K-water-მა განახორციელა დამატებით 6,513 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანი (20,425 ათასი ლარის ეკვივალენტური) კომპანიის კაპიტალში, დამატებით 6,513 ათასი ჩვეულებრივი აქციის სანაცვლოდ. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია იქნა დარეგისტრირებული.

a) დივიდენდები

სააქციო კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. დივიდენდები აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადების პერიოდში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიები უნდა ფლობდნენ გასანაწილებელ რეზერვებს იმ ოდენობით, რომ მათი მთლიანი აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და გამოშვებულ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2022 და 2021 წლებში დივიდენდები არ ყოფილა გამოცხადებული ან გადახდილი.

14. კაპიტალის მართვა

მშობელი კომპანია ნერგავს კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკას და მისი მიზანია უზრუნველყოს კაპიტალის ძლიერი ბაზა, რათა შეინარჩუნოს ინვესტორის, კრედიტორის და ბაზრის მონაწილეთა ნდობა და შეინარჩუნოს პროექტის მომავალი განვითარება. კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 15 (b) (ii);
- ლიკვიდურობის რისკი - შენიშვნა 15 (b)(iii);
- საბაზრო რისკი - შენიშვნა 15 (b)(iv).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

აღმასრულებელ დირექტორს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და ამოწმებს რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს. გაუფასურების ზარალები ფინანსურ აქტივებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია ქვემოთ.

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2022	2021
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(21,417)	(21,417)
	(21,417)	(21,417)

საბანკო ნაშთები

კომპანია მისი ფულადი სახსრების უმეტესობას ფლობს ერთ ქართულ ბანკში, რომელსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგი B.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება დაანგარიშებული იყო 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაჰენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

კომპანია არ მოელის, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

სხვა მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული კონტრაჰენტის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მისი კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკი, რომელშიც ოპერირებს კონტრაჰენტი. კომპანიის მიმოხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებას, საკრედიტო სააგენტოებიდან მიღებულ ინფორმაციას, ინდუსტრიის შესახებ ინფორმაციას და ხელმისაწვდომ პრეს ინფორმაციას კონტრაჰენტებზე.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის სხვა მოთხოვნების ნაშთი მთლიანად არის დაკავშირებული შემდეგ ორ კონტრაჰენტთან: „Salini Impregili S.p.A“ და ქართული სამშენებლო კონსორციუმი. (იხ ასევე შენიშვნა 9). მთლიანი საკრედიტო დაქვემდებარების დაახლოებით 80% კონცენტრირებულია საქართველოში, ხოლო დანარჩენი ნაწილი - იტალიაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ ძირითად ამოსავალ მონაცემებს შემდეგი ცვლადების ვადიანობის სტრუქტურა წარმოადგენს:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

პირველი დონის დაქვემდებარებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12-თვიანი „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლებით. მეორე და მესამე დონის დაქვემდებარებებისთვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლების გზით.

გაუფასურების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები, დაშვებები და მეთოდები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაახლოებით 80% (2021: 80%) დარიცხულია სხვა მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე, შესადარისი საკრედიტო პროფილის/რეიტინგის და/ან გადახდების მოლოდინების მიხედვით. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, 19,300 ათასი ლარის ოდენობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაკავშირებულია ქართული სამშენებლო კონსორციუმის მიმართ არსებული მოთხოვნის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან (2021 წლის 31 დეკემბერი: 19,300 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, დაუფარავი ნაშთი ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან მესამე დონეზე განაწილდა, შედეგად დეფოლტის ალბათობა ქსკ-ს მიმართ მოთხოვნისთვის 100%-ით შეფასდა.

„ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ დეფოლტის შემთხვევაში სავარაუდო ზარალის ოდენობას წარმოადგენს. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობის შეფასებით, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში „ქართული სამშენებლო კონსორციუმის“ მიმართ არსებული მოთხოვნებისთვის შეადგენს 100%-ს, შემდეგი მიზეზების გამო: (ა) სასამართლო პროცესი შეიძლება გაგრძელდეს და მისი ვადების სიზუსტით პროგნოზირება შეუძლებელია; (ბ) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, „ქართული სამშენებლო კონსორციუმის ქონება დაგირავებულია საგადასახადო ორგანოების და სხვა მესამე მხარეების მიერ, კომპანიის მიერ სააღსრულებო საქმიანობის დაწყების შემთხვევაში „ქართული სამშენებლო კონსორციუმისგან“ მისაღები აქტივების სამართლიანი ღირებულების სანდოდ შეფასება შეუძლებელია.

დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს სავარაუდო დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში. დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში ფინანსური აქტივებისთვის არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დეფოლტის ალბათობა „ქართული სამშენებლო კონსორციუმისთვის“ 100%-ით შეფასდა (იხ. ქვემოთ), მოთხოვნის დაუფარავი ნაშთის „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“ ასევე 100%-ით იქნა შეფასებული.

განსაზღვრა იმისა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული დეფოლტის რისკის არსებითი ზრდის დასადგენად, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე ექსპერტის საკრედიტო შეფასებას და საპროგნოზო ინფორმაციას.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, მოთხოვნები „ქართული სამშენებლო კონსორციუმის“ მიმართ განაწილებულია მე-3 დონეზე, რადგან ხელმძღვანელობის შეფასებით არ არის სავარაუდო, რომ კონტრაჰენტი სრულად დაფარავს მის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ ისეთი ქმედებების გამოყენების გარეშე როგორიცაა სარჩელის შეტანა არბიტრაჟში. კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი „ქსკ“-თან, იხილეთ აგრეთვე შენიშვნა 17(b).

სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის რეზერვი

'000 ლარი	2022	2021
მთლიანი საბალანსო ღირებულება	23,534	23,534
ზარალის რეზერვი	(21,417)	(21,417)
	2,117	**2,117**

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2022	2021
ნაშთი1 იანვარს	(21,417)	(19,300)
ზრდა წლის განმავლობაში	-	(2,117)
ნაშთი 31 დეკემბერს	(21,417)	(21,417)

სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, მანამ სანამ კომპანია არ დარწმუნდება, რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებულ თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. თუ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ აღინიშნება არსებითი გაუმჯობესება საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ ანაზღაურებებში, ხელმძღვანელობა ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენას აღიარებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით.

კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია ჯერ არ გამოიმუშავებს ფულად სახსრებს და იღებს დაფინანსებას მისი უმრავლესობის აქციონერებისგან. ამ მიზნით, კომპანია აკეთებს პროგნოზებს ფულადი ნაკადების გადინებებისთვის, სავარაუდო ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომლებიც დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოებით განისაზღვრება. პროექტის დაფინანსების მისაღებად და ფინანსური დახურვის მისაღწევად, კომპანია საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან მოლაპარაკებების პროცესში იმყოფება (როგორც ეს განსაზღვრულია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით), იხილეთ აგრეთვე შენიშვნა 2(b). კომპანია სესხებიდან მიღებული შემოსულობების და აქციონერების მიერ განხორციელებული კაპიტალური შენატანების გამოყენებას პროექტის მშენებლობასთან დაკავშირებული კაპიტალური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად გეგმავს.

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების, დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

31 დეკემბერი 2022

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	მთლიანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	766	766	213	553
სხვა ვალდებულებები	2,562	2,562	2,562	-
	3,328	**3,328**	**2,775**	**553**

31 დეკემბერი 2021

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	მთლიანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	1,268	1,268	367	901
სხვა ვალდებულებები	1.194	1.194	1.194	-
	2,462	**2,462**	**1,561**	**901**

სოფიო კაპანაძე

i. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანიის კაპიტალი დენომინირებულია აშშ დოლარში (USD) და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები ძირითადად ინახება აშშ დოლარში. მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო შეთანხმებები, რომლებიც არსებით ფულადი სახსრების გადინებებს იწვევს, ასევე ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში. ეს წარმოქმნის ეკონომიკურ ჰეჯირებას, სავალუტო რისკისთვის წარმოებული ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობის გარეშე.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2022	აშშ დოლარში დენომინირებული 2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,917	9,790
სხვა ვალდებულებები	(1,886)	(1,099)
წმინდა დაქვემდებარება	**2,031**	**8,691**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2022	2021	2022	2021
1 აშშ დოლარი	2.9156	3.2306	2.702	3.0976

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან (ზარალი)	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2022		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(203)	203
31 დეკემბერი 2021		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(869)	869

სოფიო კაპანაძე

16. ვალდებულებები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, „კავკასენერგოსგან“ სამშენებლო მომსახურების შეძენის კაპიტალური ვალდებულებები იყო შემდეგი:

	სახელშეკრულებო ოდენობა	2022 წლის 31 დეკემბრისთვის გაწეული კაპიტალური ვალდებულებები	დარჩენილი სამშენებლო პერიოდის განმავლობაში გასაწევი სახელშეკრულებო ვალდებულება
ათას აშშ დოლარში	8,761	1,582	7,179
ათას ქართულ ლარში *	**28,304**	**4,275**	**24,029**

	სახელშეკრულებო ოდენობა	2021 წლის 31 დეკემბრისთვის გაწეული კაპიტალური ვალდებულებები	დარჩენილი სამშენებლო პერიოდის განმავლობაში გასაწევი სახელშეკრულებო ვალდებულება
ათას აშშ დოლარში	8,761	1,582	7,179
ათას ქართულ ლარში *	**27,138**	**4,900**	**22,238**

* 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის გაწეული კაპიტალური ვალდებულებები და გასაწევი სახელშეკრულებო ვალდებულებების სახით კლასიფიცირებული ოდენობები, წარმოადგენს ეკვივალენტურ ოდენობებს ლარში, კონვერტირებულს წლის ბოლოს სებ-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

17. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. EPC ხელშეკრულება განსაზღვრავს კომპანიისა და კონტრაქტორის პასუხისმგებლობებს EPC ხელშეკრულების ფარგლებში აშენებულ/დამონტაჟებულ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისების შეძენასთან და მომსახურებასთან დაკავშირებით. „AON Korea Inc.“ კომპანიას უწევს დახმარებას დაზღვევის/რისკების განაწილების კუთხით და კომპანიის მიერ შესასყიდ შესაბამის სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებით გასწევს კონსულტაციებს.

(b) სასამართლო დავა

სასამართლო დავა შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“.

2020 წლის 8 დეკემბერს, კომპანიის კონტრაქტორმა, შპს „ქსკ“-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შემდეგი დროებითი ზომების გამოყენება კომპანიის წინააღმდეგ, სარჩელის შეტანამდე:

- ყველა მოძრავი ქონების დაყადაღება, მათ შორის გვირაბის საბურღი მანქანების გამოყენების შეზღუდვა;
- კომპანიის უფლების შეზღუდვა გააფორმოს ნებისმიერი ხელშეკრულება ნებისმიერ მესამე მხარესთან, რომელიც სერპანტინის გზის სამშენებლო სამუშაოებს ეხება, „ქსკ“-სთან დავის გადაწყვეტამდე;
- კომპანიის უფლების შეზღუდვა გამოიყენოს დაახლოებით 610 ათასი აშშ დოლარის ოდენობით „ქსკ“-ის მიერ უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიები „გადაუდებელი სამუშაოების ხელშეკრულების“ შესაბამისად.

2020 წლის 9 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა „ქსკ“-ს განცხადება და გამოსცა ბრძანება ყველა ზემოაღნიშნული დროებითი ზომის მიღებაზე, რაც კომპანიამ 2020 წლის 21 დეკემბერს გაასაჩივრა. 2020 წლის 14 დეკემბერს, „ქსკ“-მ შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში კომპანიის და სს „თიბისი ბანკის“ წინააღმდეგ, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ:

- კომპანიას უნდა მოეთხოვოს „ქსკ“-თან სერპანტინის გზისა და ხეების ჭრის სამუშაოებზე ხელშეკრულების გაფორმება;
- „ქსკ“-ს უნდა აუნაზღაურდეს 30,484 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ზარალი, რომელიც გამოწვეულია სერპანტინის გზის ხელშეკრულების შეუსრულებლობით, პროცენტი კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების და „გადაუდებელი სამუშაოების და დამატებითი სამუშაოების“ ხელშეკრულებების შეუსრულებლობით გამოწვეული მოსალოდნელი მოგების დაკარგვაზე.
- საბანკო გარანტიები უნდა იქნეს შეწყვეტილი, „ქსკ“-ს მიერ მისი ძირითადი ვალდებულებების შესრულების საფუძველზე.

2020 წლის 28 დეკემბერს, კომპანიამ შეგებებული სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში „ქსკ“-ს სარჩელის უარყოფის მოთხოვნით. 2021 წლის 16 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა ახალი ბრძანება, რომლის მიხედვითაც მოხსნილია პირველი ორი ზომა, ანუ ქონების ყადაღა და ხელშეკრულების გაფორმების შეზღუდვა. ძალაში დარჩა მხოლოდ საბანკო გარანტიის გამოყენების შეზღუდვა.

„ქსკ“-ს მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა ახალი ბრძანება 2021 წლის 23 აგვისტოს. უკანასკნელი ამკრძალავი ბრძანების მიხედვით, საქალაქო სასამართლომ ბრძანა (ა) გვირაბების საბურღი მანქანების გაჩერება; და (ბ) კომპანიის უფლების შეზღუდვა გააფორმოს ხელშეკრულება ნებისმიერ მესამე მხარესთან სერპანტინის გზის მშენებლობაზე მანამ, სანამ კომპანიასა და ქსკ-ს შორის დავის გადაწყვეტამდე ზემოაღნიშნული ამკრძალავი ბრძანება გასაჩივრდა კომპანიის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მიღების კანონით დადგენილი ვადა 2021 წლის ნოემბერში ამოიწურა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ („TCA“) გადაწყვეტილება მხოლოდ 2023 წლის 10 მაისს გამოსცა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კომპანიის სარჩელი - გააუქმა 2021 წლის ბრძანება, რადგან ის არ იყო დასაბუთებული და კვლავ დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველად.

2023 წლის 15 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კვლავ დააკმაყოფილა „ქსკ“-ის მიერ მოთხოვნილი დროებითი ზომები და ბრძანა გვირაბების საბურღი მანქანების გაჩერება და აუკრძალა კომპანიას ხელშეკრულების გაფორმება ნებისმიერ მესამე მხარესთან სერპანტინის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, დავის გადაწყვეტამდე. კომპანიამ გაასაჩივრა ახალი შემზღუდავი ბრძანება, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.

2021 წლის 5 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის თავზე აიღო აღნიშნული საქმის იურისდიქცია და განაგრძო სასამართლო პროცესი. ბოლო მოსმენა გაიმართა 2021 წლის 15 სექტემბერს და გადაიდო გაურკვეველი თარიღისთვის. მას შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსმენა არ დაუნიშნავს.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის ხელშეკრულებები ითვალისწინებს დავების გადაწყვეტას დავების განხილვის საბჭოს ან არბიტრაჟის მეშვეობით, 2021 წლის 14 ოქტომბერს, კომპანიამ „ქსკ“-ის წინააღმდეგ საარბიტრაჟო წარმოება („არბიტრაჟი“) დაიწყო. არბიტრაჟი განთავსებული იყო პარიზში და მას ადმინისტრირებას უწევდა საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC), საერთაშორისო სავაჭრო პალატის 2021 წლის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. არბიტრაჟი ეხება დავას, რომელიც მხარეთა შორის გაფორმებული „მოსამზადებელი სამუშაოების ხელშეკრულების“ მიხედვით, „ქსკ“-ის ვალდებულებების შეუსრულებლობით არის გამოწვეული. 2023 წლის 8 სექტემბერს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოსცა საბოლოო გადაწყვეტილება არბიტრაჟთან დაკავშირებით კომპანიის სასარგებლოდ და „ქსკ“-ს კომპანიისთვის დაახლოებით 26 მილიონი აშშ დოლარი გადახდა მოეთხოვა, საარბიტრაჟო ხარჯებთან და პროცენტებთან ერთად.

„ქსკ“-ს მოთხოვნების და „ქსკ“-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის „ქსკ“-ს სასარგებლოდ გადაწყვეტის ალბათობას ნაკლებად სავარაუდოდ აფასებს. ხელმძღვანელობის შეფასებას ასევე მხარს უჭერს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ გამოცემული განჩინება კომპანიის სასარგებლოდ.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ვარაუდობს, რომ ტექნიკური უპირატესობების საფუძველზე, რომელსაც ფლობს ხელმძღვანელობა, ზემოაღნიშნული სასამართლო დავის შედეგების კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი უარყოფითი გავლენის ალბათობა ძალიან დაბალია.

ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომელშიც კომპანია მესამე მხარის სახით მონაწილეობს

კომპანია ასევე ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ და ორი სხვა პირის („მოსარჩელეები“) მიერ ინიცირებულ სასამართლო პროცესში მესამე მხარის სახით. მოსარჩელეებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების შემოწმების თაობაზე 2019 წლის 4 თებერვლის სამინისტროს № 2-110 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, არსებითი მოსმენები არ არის დანიშნული. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შეესაბამება შესაბამის გარემოსდაცვით კანონებს და სასამართლო განხილვამ არ უნდა გამოიწვიოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობა ან სხვაგვარად გამოიწვიოს პროექტის მნიშვნელოვანი ცვლილებები.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ვარაუდობს, რომ ტექნიკური უპირატესობების საფუძველზე, რომელსაც ფლობს ხელმძღვანელობა, ზემოაღნიშნული სასამართლო დავის შედეგების კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი უარყოფითი გავლენის ალბათობა ძალიან დაბალია.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებები ახასიათებს, რაც ხშირად გაურკვეველი, ურთიერთგამომრიცხავი და განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ნებისმიერი მოქმედი კანონის მიღებასთან, გამოქვეყნებასთან, ძალაში შესვლასთან, ცვლილებასთან, შესწორებასთან, გაზრდასთან, გაუქმებასთან, ინტერპრეტაციასთან, ხელახალ ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან, რომელიც ეხება ნებისმიერ გადასახადს, მათ შორის ნებისმიერი გადასახადის გამოყენებას, რომელიც დაწესებულია კომპანიაზე ან მის აქციონერზე (მათ შორის გადასახადების დაკავება აქციონერებზე განხორციელებულ განაწილებებზე ან პოტენციურ კრედიტორებზე გადასახდელი თანხების გადახდაზე) შემსუბუქებულია იმპლემენტაციის ხელშეკრულების ფარგლებში. მსგავსი მოვლენები ექვემდებარება „გადასახადის ცვლილების“ განმარტებას, რომელიც მოცემულია იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში.

თუ ზემოაღნიშნული „გადასახადის ცვლილება“ ამცირებს და/ან ზრდის კომპანიის ან აქციონერების შემოსავალს ან ხარჯებს (შესაბამისად) „გადასახადის ცვლილების“ ზღვრულ ოდენობამდე ან მასზე მეტი ოდენობით (რაც, „იმპლემენტაციის ხელშეკრულებით“ განისაზღვრა როგორც 100 ათასი აშშ დოლარი ჯამში, წლიურად), კომპანიას აქვს უფლება მიიღოს შესაბამისი ოდენობების ანაზღაურება საქართველოს მთავრობისგან. მსგავს შემთხვევებში, საქართველოს მთავრობას შეუძლია (ა) განახორციელოს ანაზღაურება ტარიფის ზრდის საშუალებით ან (ბ) კომპანიას მსგავსი ოდენობა ერთჯერადი გადახდის სახით აუნაზღაუროს.

2020 წლის დეკემბერში, საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა (“GTA”) დაასრულეს კომპანიის საგადასახადო შემოწმება 2015 წლის აგვისტოდან 2018 წლის მაისამდე პერიოდისთვის. ადმინისტრაციული სარჩელის სასამართლოში შეტანის თარიღისთვის დარიცხულმა საგადასახადო ვალდებულებამ 2015 და 2016 წლის საგადასახადო პერიოდებისთვის შესაბამისად 25 ათასი ლარი და 5,216 ათასი ლარი შეადგინა.

კომპანიამ გაასაჩივრა საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ გაცემული შუალედური საგადასახადო შემოწმების აქტები. 2021 წლის 20 აგვისტოს, კომპანიამ ადმინისტრაციული აქტების (რომლებიც საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ დამატებით საგადასახადო დარიცხვას ითვალისწინებს) ბათილად ცნობის მოთხოვნით შემოსავლების სამსახურისა და სამინისტროს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანა.

2021 წლის 13 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დანიშნა საქმის წინასწარი პირველი მოსამზადებელი მოსმენა, სადაც მხარეებმა განიხილეს წინასწარი საკითხები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, შემდეგი სასამართლო სხდომა 2023 წლის 28 ნოემბერს არის ჩანიშნული.

ზემოაღნიშნული საგადასახადო შემოწმების აქტების ტექნიკური ასპექტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ კომპანიას მოეთხოვება დამატებითი ჯარიმების გადახდა, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(d) გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესშია და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებას. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ ცვლილებების განხორციელებით არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ან კანონმდებლობაში, თუმცა მათ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ ვითარებაში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

გარდა ამისა, იმპლემენტაციის ხელშეკრულების მიხედვით, თუ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების და რეგულაციების ცვლილება შეამცირებს და/ან გაზრდის კომპანიის ან აქციონერების შემოსავალს ან ხარჯებს (შესაბამისად) „კანონმდებლობის ცვლილების“ ზღვრულ ოდენობამდე ან მასზე მეტი ოდენობით (რაც, „იმპლემენტაციის ხელშეკრულებით“ განისაზღვრა როგორც 100 ათასი აშშ დოლარი ჯამში, წლიურად), კომპანიას აქვს უფლება მიიღოს შესაბამისი ოდენობების ანაზღაურება საქართველოს მთავრობისგან. მსგავს შემთხვევებში, საქართველოს მთავრობას შეუძლია (ა) განახორციელოს ანაზღაურება ტარიფის ზრდის საშუალებით ან (ბ) კომპანიას მსგავსი ოდენობა ერთჯერადი გადახდის სახით აუნაზღაუროს.

(e) გარანტიები

თავდაპირველი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, კომპანიამ წარმოადგინა სატენდერო შეთავაზების გარანტია 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მოქმედების ვადით 2024 წლის 31 აგვისტომდე. სატენდერო შეთავაზების გარანტია წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობისთვის სს „თიბისი ბანკის“ საშუალებით (იმპლემენტაციის ხელშეკრულების მიხედვით).

18. დაკავშირებული მხარეები

a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა „K-water“. K-water-ის ფინანსური ანგარიშგება კორეის მთავრობის საკუთრებაში არსებული და კვაზისახელმწიფო სააღრიცხვო რეგულაციებისა და სტანდარტების მიხედვით საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა კორეის რესპუბლიკა (92.6%-ის მფლობელი), ხოლო დარჩენილ 7.4%-ს საპარტნიორო ფონდი ფლობს.

b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა ხარჯების კატეგორიაში (იხ. შენიშვნა 5):

'000 ლარი	2022	2021
ხელფასები და ბონუსები	963	683
სხვა	344	198
	1,307	**881**

ii) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კორეის განვითარების ბანკი (“KDB”) არის K-water-ის აქციონერი და ფლობს მისი აქციების დაახლოებით 7%-ს, შესაბამისად KDB ითვლება დაკავშირებულ მხარედ. იმ ფინანსური შეთანხმებების მიხედვით, რომლებზეც კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს პროექტისთვის დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, KDB ჩართულია ერთ-ერთი პოტენციური კრედიტორის სახით. თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, მთლიანი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შემდეგ (მათ შორის KDB-ისთვის წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები), KDB-სთვის გადახდილი ავანსების ნაშთი ნულამდე შემცირდა (2021: 1,787 ათასი ლარი).

19. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა გასაყიდად ფლობილი აქტივებისა, რომლებიც აღრიცხულია მათ თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმცირესით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

(a) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა შემოსულობის თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(b) უცხოური ვალუტა

i. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(c) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება ან კაპიტალიზირდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(d) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

i. მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

ii. გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(e) გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც „გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები“ თუ მათი საბალანსო ღირებულება იქნება ანაზღაურებული ძირითადად გაყიდვის გზით და არა უწყვეტი გამოყენების გზით. გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაუყოვნებლად გასაყიდად მათ მიმდინარე მდგომარეობაში და არსებობს მათი გაყიდვის დიდი ალბათობა კლასიფიკაციის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. თუმცა, მისი გაყიდვის დასრულებისთვის საჭირო პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს სამართლებრივი ან მარეგულირებელი საკითხების, საბაზრო პირობების ან გარიგებაში სირთულეების არსებობის გამო. გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები ფასდება მათ საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმცირესის მიხედვით.

თუ გასაყიდად ფლობილი აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, მაშინ აქტივები ფასდება მათი გამოყენების ღირებულებით, რაც წარმოადგენს სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია აქტივების უწყვეტი გამოყენებით და მათი გაყიდვით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

გრძელვადიანი აქტივების გამოყენების ღირებულების განსაზღვრისთვის, კომპანია აფასებს მომავალ ფულად ნაკადებს, რომლებსაც წარმოქმნის აქტივები და ადისკონტირებს აღნიშნულ ფულად ნაკადებს მათ მიმდინარე ღირებულებაზე შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულის დროითი ღირებულების ბაზრის მიმდინარე შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

თუ აქტივების გამოყენების ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მის ანაზღაურებად ღირებულებას შორის, რაც აქტივის სამართლიან ღირებულებასა (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს წარმოადგენს.

გასაყიდად ფლობილი აქტივების საბალანსო ღირებულების შემდგომი ჩამოწერები (რაც არ მოიცავს გაყიდვების შედეგად წარმოქმნილ შემოსულობასა ან ზარალს) გაუფასურების ზარალის სახით აღიარდება.

(f) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

ყველა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი და პროექტის მართვის სხვა ხარჯები არ არის კაპიტალიზებული და პირდაპირ აისახება მოგებაში ან ზარალში, გარდა კომპანიის ტექნიკური გუნდის ხელფასებისა და მივლინების ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია სამშენებლო სამუშაოებთან და კაპიტალიზებულია დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს დაუმთავრებელი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებს რომლებიც შემდგომ კლასიფიცირებულია ძირითადი საშუალებების სახით. მსგავსი წინასწარი გადახდები აღრიცხულია თვითღირებულებით გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით და კლასიფიცირებულია გრძელვადიანის სახით, რადგან ის უკავშირდება აქტივს, რომელიც თავის მხრივ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანის სახით, თავდაპირველი აღიარებისას.

ii. შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება, სანამ აქტივი ექსპლუატაციაში არ შევა.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- სამშენებლო აღჭურვილობა 5 წელი;
- საოფისე აღჭურვილობა 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი
- ბანაკები 5 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო ღირებულებას, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან (გამოკლებული სავარაუდო გაყიდვის ხარჯები), თუ აქტივი უკვე არის იმ ასაკის და იმ მდგომარეობაში რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ძირითადი საშუალებების სახით კლასიფიცირებულ ყველა აქტივს ნულოვანი ნარჩენი ღირებულება აქვს.

(g) ფინანსური ინსტრუმენტები

i. აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც „კომპანია“ ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული), გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

ii. კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კომპანია“ ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სხვა მოთხოვნებს, როგორც წარმოდგენილია შენიშვნებში 10 და 9 შესაბამისად.

შეზღუდული ფულადი სახსრები გულისხმობს ფულად სახსრებს, რომლებიც გამოყოფილია კონკრეტული მიზნისთვის და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგადი ბიზნეს საქმიანობისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს ესქროში შენახულ ნაღდ ფულს, საგარანტიო დეპოზიტებს ან ტრასტში შენახულ ნაღდ ფულს. შეზღუდული ფულადი სახსრები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი ან მოკლევადიანი აქტივი, შეზღუდვის ბუნებიდან გამომდინარე. თუ მოსალოდნელია, რომ ფულადი სახსრების შეზღუდვა 1 წლის განმავლობაში მოიხსნება, მაშინ შეზღუდული ფულადი სახსრები მოკლევადიანი აქტივის სახით კლასიფიცირდება. თუ მოსალოდნელია, რომ ფულადი სახსრების შეზღუდვა 1 წელზე დიდხანს გაგრძელდება, მაშინ შეზღუდული ფულადი სახსრები გრძელვადიანი აქტივის სახით კლასიფიცირდება.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

iii. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ოდიო კომპანი

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვის“ კრიტერიუმთან (კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც მოდიფიცრებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია პერსპექტიულად.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

iv. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

v. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება

(h) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დამატებითი ხარჯები აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი გადასახადების გამოკლებით. სააქციო კაპიტალის ზრდაზე გავლენა აქვს ახალი აქციების გამოშვებას.

(i) გაუფასურება

i. არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მოხსენიებულია როგორც „ეტაპი 1“-ის ფინანსური ინსტრუმენტები. ეტაპი 1-ზე განაწილებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს არ განუცდიათ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ისინი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის ან დაქვემდებარების მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მაგრამ არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით, მოხსენიებულია როგორც „ეტაპი 2“-ის ფინანსური ინსტრუმენტები. ეტაპი 2-ზე განაწილებული ფინანსური ინსტრუმენტები არის ინსტრუმენტები, რომლებმაც განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ისინი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, და არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით, მოხსენიებულია როგორც „ეტაპი 3“-ის ფინანსური ინსტრუმენტები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „კომპანია“) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჩამოწერილი თანხებიდან კომპანია არ ელოდება მნიშვნელოვან აღდგენას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

ii. არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალები ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(j) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(k) წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები

წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯები მოიცავს საოპერაციო დანახარჯებს, რომლებიც წარმოადგენს დამატებით დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ფინანსური ვალდებულების შეძენასთან. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი რომელიც არ იქნებოდა გაწეული იმ შემთხვევაში თუ ოპერაციას არ ექნებოდა ადგილი. საოპერაციო დანახარჯები იურიდიული და ფინანსური მრჩეველებისთვის გადახდილ საფასურსა და საკომისიოს მოიცავს. საოპერაციო დანახარჯები არ მოიცავს სასესხო პრემიებსა და დისკონტირებას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს. აღნიშნული ხარჯები აკუმულირდება წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯების სახით, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული სესხის თავდაპირველი შეფასებისას მისი მიღების დროს.

(l) აქტივები გამოყენების უფლებით

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ თარიღი, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება). აქტივები გამოყენების უფლებით თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომ, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და კორექტირებულია საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასებით. გამოყენების უფლებით აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების ოდენობას და დაწყების თარიღამდე ან აღნიშნული თარიღისთვის განხორციელებულ საიჯარო გადახდებს (გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები). გარდა შემთხვევებისა, როდესაც კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, რომ იჯარის ვადის ბოლოს მიიღებს საკუთრებას იჯარით აღებულ აქტივზე, აღიარებულ აქტივებს გამოყენების უფლებით ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მათ სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესის მიხედვით. აქტივები გამოყენების უფლებით ექვემდებარება გაუფასურებას.

(m) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს იჯარის ვადის მანძილზე გადასახდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ საიჯარო ვალდებულებებს. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები) გამოკლებული ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნები, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, და ასევე, ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობები. საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის თუ იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთი არ არის ადვილად განსაზღვრადი. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების ოდენობა გაზრდილია პროცენტის დაგროვების ასახვის მიზნით და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადასახდელებით. ამასთანავე, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაფასებულია თუ არსებობს მოდიფიცირება, საიჯარო ვადის ცვლილება, არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების ცვლილება ან ცვლილება საიჯარო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

სოფიო კაპანაძე

26. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების შესწორებები
- სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის შესწორებები)
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორებები)

27. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

წლის ბოლოს შემდეგ, შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა:

- 2022 წლის 15 ნოემბრიდან 2023 წლის 17 იანვრამდე, კომპანიის ადმინისტრაციისა და ფინანსების უფროსმა კომპანიის ფულადი სახსრები მიითვისა. მან 2022 წლის ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, კომპანიის საბანკო ანგარიშიდან პირად ანგარიშზე 1,144 ათასი ლარი გადარიცხა. თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მითვისებული 1,144 ათასი ლარი მთლიანად დაბრუნდა კომპანიის ანგარიშზე. შემდგომში, 2023 წლის იანვრის განმავლობაში, მან კომპანიის საბანკო ანგარიშიდან დამატებით გადაირიცხა 1,615 ათასი ლარი.

  2023 წლის 17 იანვარს კომპანიამ აღმოაჩინა თაღლითური ქმედება და დაუყოვნებლივ მიიღო შესაბამისი ზომები. შედეგად, სასაზღვრო პოლიციამ დააკავა კომპანიის ადმინისტრაციისა და ფინანსების უფროსი. ეჭვმიტანილს საქართველოს შესაბამისმა სამართალდამცავმა ორგანოებმა ბრალი წაუყენეს და სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს. კომპანია ყურადღებით აკვირდება საქმეს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს შესაბამის ზომებს. ამავდროულად, კომპანიამ ჩაატარა შიდა კონტროლის სისტემის საფუძვლიანი შემოწმება და შემოიღო მაკონტროლებელი სისტემა, რათა დაიცვას თავისი აქტივები მითვისებისგან;

- 2023 წელს, K-water-მა განახორციელა 5,856 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანი (15,095 ათასი ლარის ეკვივალენტური) კომპანიის კაპიტალში, 5,856 ათასი ჩვეულებრივი აქციის სანაცვლოდ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, კომპანიას არ დაურეგისტრირებია აღნიშნული აქციები და დაკავშირებული, 15,095 ლარის ოდენობით ფულადი სახსრების მიღება აღიარდა როგორც წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი, კაპიტალის ფარგლებში.

დანართი

დამატებითი ფინანსური ინფორმაცია აშშ დოლარში

პრაქტიკულად მოსახერხებელი გადაანგარიშება

ფინანსური ანგარიშგების ლარში წარდგენის გარდა, დამატებითი ინფორმაცია აშშ დოლარში წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების პრაქტიკული მოხერხებულობისთვის.

წინამდებარე შენიშვნა მომზადებულია ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ფინანსური ინფორმაციის აშშ დოლარში წარსადგენად.

ლარში დენომინირებული ტრანზაქციები კონვერტირებულია აშშ დოლარში ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული სებ-ის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ლარში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება აშშ დოლარში ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სებ-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც გარიგებების დაკმაყოფილების და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების აშშ დოლარში კონვერტაციის შედეგად წარმოიშვება მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

'000 აშშ დოლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ძირითადი საშუალებები	13	131,878
აქტივები გამოყენების უფლებით	-	393
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	-	551
არამატერიალური აქტივები	-	83
წინასწარ გადახდილი ფინანსური ხარჯი	-	13,278
შეზღუდული ფულადი სახსრები	5	12
გრძელვადიანი აქტივები	**18**	**146,195**
მარაგები	72	33
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, წმინდა	1,847	1,799
სხვა მოთხოვნები	790	790
გადახდილი ავანსები	507	49
გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები	16,951	16,985
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,633	3,243
მოკლევადიანი აქტივები	**21,800**	**22,899**
სულ აქტივები	**21,818**	**169,094**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	211,542	207,126
წინასწარ გადახდილი სააქციო კაპიტალი	1,587	-
დაგროვილი ზარალები	(192,521)	(38,824)
სულ კაპიტალი	**20,608**	**168,302**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	208	271
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**208**	**271**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	76	138
სხვა ვალდებულებები	926	383
მოკლევადიანი ვალდებულებები	**1,002**	**521**
სულ ვალდებულებები	**1,210**	**792**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**21,818**	**169,094**

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

000 აშშ დოლარი	2022	2021
პერსონალის ხარჯები	(1,112)	(696)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,005)	(3,460)
გაუფასურების ზარალი გრძელვადიან აქტივებზე	(148,688)	-
გაუფასურების ზარალი სხვა მოთხოვნებზე	-	(789)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები	**(153,805)**	**(4,945)**
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	129	73
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(21)	(104)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**(153,697)**	**(4,976)**
მოგების გადასახადი	-	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	**(153,697)**	**(4,976)**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

000 აშშ დოლარი	საქციო კაპიტალი	წინასწარ გადახდილი საქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	193,715	6,898	(33,848)	166,765
წლის ზარალი	-	-	(4,976)	(4,976)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(4,976)	(4,976)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
წინასწარ გადახდილი საქციო კაპიტალი	6,898	(6,898)	-	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	6,513	-	-	6,513
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**207,126**	-	(38,824)	**168,302**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	207,126	-	(38,824)	168,302
წლის ზარალი	-	-	(153,697)	(153,697)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	**(153,697)**	**(153,697)**
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან	-	-	-	-
წინასწარ გადახდილი საქციო კაპიტალი	-	1,587	-	1,587
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	4,416	-	-	4,416
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**211,542**	**1,587**	(192,521)	**20,608**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

000 აშშ დოლარი	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მომწოდებლებისა და დასაქმებულებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(5,202)	(3,221)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5,202)	(3,221)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,222)	(1,326)
ფინანსური ხარჯებისთვის გადახდილი ავანსები	(1,175)	(169)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(2,397)**	**(1,495)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან		
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსულობები	6,004	6,513
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**6,004**	**6,513**
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	**(1,595)**	**1,797**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	3,243	1,462
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(15)	(16)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	**1,633**	**3,243**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231533155
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.11.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლანა მაჭავარიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(+995) 595 10 16 08
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	51123894102123

მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2-ში ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი:01008047830) დამოწმდა მისი ხელმოწერის წამდვილობა დოკუმენტის - სს " ნენსკრა ჰიდრო" 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანზე
მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.
გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 2 ეგზემპლარზე შესრულებული 100 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 300 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების #507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 54 ლარი და 00 ლარი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების #507-ის 39-ე მუხლისა).

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შეკერილია და დანომრილია
92 ფურცლად
ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი